140
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132 — 5972

ჯიმინდარი

4

1980



ᲩᲣᲥᲕᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ
ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ
ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ,
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ
ᲢᲠᲘᲕ ᲘᲒᲘ
ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲙᲔᲗᲕᲔᲜᲘᲡ:
ᲕᲘᲪᲣᲥᲘᲗ—ᲚᲔᲜᲘᲜᲘ,
ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲕᲣᲐᲕᲡ
ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ,
ᲕᲘᲪᲣᲥᲘᲗ—ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲓᲐ ᲕᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲛᲝᲗ
ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲚᲔᲜᲘᲜᲡ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ
ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ
ᲒᲣᲠᲐᲛ
ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ჭიორნეკი

4 აპრილი 1980

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მირონ ხერგიანი

ეროვნული საკუთრება

ბიბლიოკენ...

ეს ცქრიალა ბავშვები სკოლის ეზოში გავიცანი — დიდ დასვენებაზე გარეთ გამოშლილიყვნენ და მხიარულად ერთობოდნენ. პიონერთა ოთახში როცა მოიყარეს თავი, ერთიანად შეიცვალნენ — მათ მზერაში სიამაყის შუქი აკიაფდა. ჩემთვის ნათელი გახდა — 114-ე საშუალო სკოლაში ეს ლამაზად გაფორმებული პიონერთა ოთახი მათთვის მშობლიური სახლივით ახლობელი იყო. კედელზე გაკრულ ნაირნაირ პლაკატებში, ფაქიზად გაფორმებულ კუთხეებში, დიდი ბელადის დაბადების 110 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საკავშირო მარშრუტების სვლაგეზთა რუკებში ნორჩების ფანტაზია განივთებულიყო; მათი გულის სითბოთი იყო განსპეტაკებული შინმოუსვლელთა სტენდი, ინტერნაციონალური მეგობრობის ალბომები, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელ ქარხანასთან სკოლის პიონერული ორგანიზაციის მეგობრობის ამსახველი საინტერესო მატიანის ფურცლები, სათუთად რომ ინახებოდა ერთ-ერთ კარადის უჯრაში; კაბინეტის უკანა კედელთან მიდგმული საზეიმო ტრიბუნის უშველებელი მაკეტი, რომელიც ბავშვებმა სკოლის შეფების — ელმავალმშენებლების დახმარებით გააკეთეს...

ეს მოზრდილი კაბინეტი მართლაც ერთგვარ მუზეუმად ქცეულა, სადაც უფროსი და უმცროსი ლენინელების — აქაური პიონერებისა და ელმავალმშენებელი ქარხნის მუშათა ოცწლიანი მეგობრობის საინტერესო ისტორიაა გაცოცხლებული.

დიახ... ლენინის რაიონის ნორჩი ლენინელები... ლენინის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხანა... ლენინის წინასაიუბილეო ვახტი!.. ყოველივე და ყველაფერი აქ დიდი ბელადის უკვდავ სახელთან არის დაკავშირებული, ყველაფერს ერთი საზრუნავი წარმართავს. დიდებსა და პატარებს საერთო მიზანი აერთიანებთ — დიდი ბელადის იუბილესათვის ღირსეული სამზადისი... თუმცა ამაზე უფრო დაწვრილებით მოგვიყვებიან ამ მეგობრობის სულისჩამდგმელები, სკოლის პიონერთა ოთახში შეკრებილი ნორჩები. მოვუსმინოთ მათ:

ნინო მამადაშვილი (მეხუთე კლასის მოსწავლე, მეშვიდე რაზმის კედლის გაზეთის რედაქტორი):

— ბელადის დაბადების 110-ე წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ საუკეთესო კედლის გაზეთების რესპუბლიკურ კონკურსში ჩვენი სკოლაც იღებს მონაწილეობას. მოვაგროვეთ ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. ამჟამად მე და ჩემი რაზმელები ამ მასალების ლიტერატურულ დახვეწაზე ვმუშაობთ. არ ვიცი, რას მოგვიტანს კონკურსის შედეგები, მაგრამ ამთავითვე ყველასათვის ნათელია, რამდენი რამ შესძინა თითოეულ ჩვენგანს ამ კონკურსში მონაწილეობამ. საკავშირო პიონერული მარშის საიუბილეო დევიზმა — „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“ ჩვენს თვალში კიდევ მეტი ცხოველმყოფელობა შეიძინა... დიდი ბელადის

* რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ლალი კორძახია, მეშვიდეკლასელები მარინა ამგოკაძე და დალი ჯელია საკონკურსო გაზეთებზე მუშაობისას.

ცხოვრების ახლოს გაცნობამ ახალი ჰორიზონტები გადაგვიშალა პატარებს...

გოჩა ხმალაძე (მეოთხე კლასის მოსწავლე, მეთორმეტე რაზმის კედლის გაზეთის რედაქტორი):

— ჩვენს სკოლაში სულ თორმეტი რაზმია. თითოეულმა რაზმმა თავისი გაზეთი უნდა გამოუშვას; ასე რომ, ამ საიუბილეო სამზადისში მთელი პიონერული ორგანიზაციაა ჩაბმული. რა თქმა უნდა, მეტოქეების სიმრავლე ყოველთვის ამცირებს კონკურსში გამარჯვების შანსებს, მაგრამ თუკი გულით გაინტერესებს საქმე, გამარჯვებაში ხელს ვერაფერი შეგიშლის. ნინოს ნათქვამისა არ იყოს, ეს ისეთი პაექრობაა, სადაც საბოლოოდ ყველა გამარჯვებული გამოდის...

ხათუნა მჭედლიძე (მეშვიდე კლასის მოსწავლე):

— დიდი ბელადის საიუბილეოდ ოდ, ოქტომბრელთა კლასებში გამოვყავით „ლენინის კუთხეები“, აქ თავი მოვუყარეთ მრავალფეროვან ლიტერატურას ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ... მის გაცნობაში ნორჩებს, ცხადია, პიონერები ვეხმარებით.

მარტში ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს მივუძღვენით მხატვრული საღამო, რომელიც საშეფო ქარხნის კლუბში ჩავატარეთ. საღამოზე ჩვენმა დეკლამატორებმა და მომღერლებმა გააცხეს თავიანთი ხელოვნება მუშათა კლასის წარმომადგენლებს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება იმ სტენდის საზეიმო გახსნა, რომელსაც ვ. ი. ლენინის იუბილესთან დაკავშირებით გვიმზადებს შეფი ქარხანა. სტენდი სკოლის გზოში დაიდგმება და ერთგვარი სარკე იქნება ბელადის იუბილესადმი მოსამზადებელ პერიოდში გაწეული შრომისა და მეცადინეობისა... ეს სტენდი დარჩება ჩვენი სკოლის მოსწავლეებისა და უფროსი მეგობრების — ელმავალმშენებელი ქარხნის მშრომელთა გულწრფელი მეგობრობის მრავლისმეტყველ სიმბოლოდ...

დალი ჯელია (მეშვიდე კლასის მოსწავლე):

— ჩვენი სკოლის რაზმეულისა და ელმავალმშენებელთა საშეფო ურთიერთობა ორივესათვის სასარგებლოა. მუშები გვეხმარებიან შრომითი ჩვევების გამომუშავებაში, ჩვენ კი კონცერტებსა და მხატვრულ საღამოებს ვმართავთ ქარხნის კლუბში, მშრომელებს ვაცნობთ ჩვენს თვითმოქმედებას. ბოლო წლებში ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო გაღრმავდა.

აი, შემოსასვლელში რომ „პეიზაჟი“ ჰკიდია, ქარხანამ აჩუქა ჩვენს სკოლას... ყოველწლიურად, არდადეგებზე, ქარხანა თავისი სახსრებით არემონტებს საკლასო ოთახებს, გვეხმარება ინვენტარის შეკეთებასა და სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღების, სამოსწავლო რთული ტექნიკისა და აპარატურა-დანადგარების შეძენაში...

ნინო მელქაძე (მეხუთე კლასის მოსწავლე):

— ჩვენი სკოლა ყოველთვის პირველი აიტაცებს ხოლმე ყოველგვარ ახალ წამოწყებას. ამ რამდენიმე წლის წინ ელმავალმშენებელთა ახალგაზრდულ გადაძახილს — „სწორება კომუნისტებზე!“ პირველად

ყოველთვის ხალხმრავლობაა „ლენინის კუთხეში“. აქ შეიძლება საინტერესო წიგნიც წაიკითხო და ბელადის სახელთან დაკავშირებულ ექსპონატებსაც გაეცნო.

მეავლუდ ლაშაური საშეფო სკოლის პიონერებს აცნობს ქარხნის ისტორიას.

ვატარებთ აგრეთვე პოლიტიკური პლაკატებისა და სიმღერების კონკურსს. სასკოლო კონკურსში გამარჯვებულები სარაიონო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას. იქაც თუ გაუღიმათ ბედმა, ახლა უკვე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მოუწევთ გამოსვლა...

გარდა ამისა, ბელადის იუბილესთან დაკავშირებით, 132-ე სკოლის მოსწავლეთა წამოწყების საპასუხ-

ᲨᲔᲤᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲔᲑᲖᲔ.

ჩვენი სკოლა გამოეხმაურა. გასულ წელს კი ტრადიციად ვაქციეთ საწარმოო პრაქტიკის გავლა უშუალოდ ქარხანაში. კვირაში ორ დღეს — ხუთშაბათობითა და პარასკეობით — ვეუფლებით სახარატო და საზეინკლო პროფესიებს, ვსაქმიანობთ ლაბორატორიებსა და სამხაზველოებში, ისეთ უბნებზე, სადაც ქარხანა მუშახელის ნაკლებობას განიცდის, ერთი სიტყვით, ვიძენთ შრომით გამოცდილებასა და ჩვევებს...

ლალი კორძახია (მეშვიდე კლასის მოსწავლე):

— ასეთი ურთიერთობა მეტად სასარგებლოა ჩვენთვის. უფროსკლასელების მაგალითზე ვიცი, რომ ბევრი მათგანი სკოლის დამთავრების შემდეგ ქარხანაში აპირებს დარჩენას. მალე ჩვენც დავუფიქრდებით ამ საკითხს.

16. 4/7

უფროსი პიონერხელმძღვანელის მედიკო შენგელიასაგან ხშირად გვსმენია, ჩვენი სკოლა ქარხნისათვის ერთგვარ საიმედო ფილიალს წარმოადგენსო. მრავალი 114-ე სკოლადამთავრებული მუშაობს ამჟამად იქ. იმიტომაც არის ქარხნის კოლექტივი ახალგაზრდული... ჩვენი საზოგადოებრივი პიონერხელმძღვანელებიც მოწინავე კომკავშირელები არიან: გიორგი კელენჯერიძე სააპარატო საამქროს მხეხავია, მაია შიუკაშვილი საწარმოო განყოფილებაში მუშაობს, ეთერ კოკოევი გამოთვლითი ცენტრის ოპერატორი გახლავთ, ციცინო ლომიძე — ტექნოლოგიური განყოფილების თანამშრომელი.

ვინ არ იცნობს ახალგაზრდა მოწინავე მუშას — მურმან გიორგაძეს, ისიც საშეფო ორგანიზაციიდან არის ჩვენზე მომაგრებული და, ასე ვთქვათ, ყველაზე რთულ უბანზე საქმიანობს — ძნელად აღსაზრდელთა დამრიგებელი გახლავთ. ასეთები თითო-ოროლა გვყავს სკოლაში, მაგრამ მარჯვენაფლანგელობა თუ გვინდა, ასპროცენტიანი მოსწრებაც უნდა გვქონდეს და სანიმუშო წესრიგიც. პატივცემული მურმანი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრია და თავისი ავტორიტეტით კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ანცებსა და ონავრებზე...

თინა გიგაური (მეოთხე კლასის მოსწავლე):

— საზოგადოებრივი პიონერხელმძღვანელები ჩვენი ნამდვილი მეგობრები არიან. დავყავართ ექსკურსიებზე, გვაცნობენ საქართველოს ბუნებას, ისტორიას; ამას წინათ ელმავალმშენებლებმა — სააპარატო საამქროს წუნმდებელმა რამაზ სეფისკვერაძემ, ქარხნის გამწვანების მუშამ ბადრი ცომაიამ, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ მევლუდ ლაშაურმა და სხვებმა ავტობუსით მცხეთაში გაგვასეირნეს; დავათვალიერეთ სვეტიცხოველი, შიომღვიმე და ჯვრის მონასტერი; ვიყავით მთაწმინდაზე, მეგობრობისა და ისტორიის მუზეუმებში; გამარჯვების პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან გადავიღეთ სამახსოვრო სურათები...

ყველაზე სასიამოვნო მოგონებად დაგვრჩება პიონერთა რიგებში მიღება, რომელიც ხშირად ქარხანაში ეწყობა ხოლმე. ბევრი ჩვენგანის მშობელი მუშაობს ელმავალმშენებელში და რაოდენ ამაღელვებელია, როცა უფროსები თვითონ უკეთებენ ხოლმე წითელ ყელსახვევს თავიანთ შვილებს... ამით ისინი გზას ულოცავენ დიდი ცხოვრებისაკენ. დაკოჟრილი ხელებით განასკვული ყელსახვევი ტრადიციულთან ერთად თითქოს ახალ მნიშვნელობასაც იძენს — იგი პატიოსნებისა და უფროსებისადმი პატივისცემის სიმბოლოდ იქცევა...

მედიკო შენგელია (114-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი):

— ქარხანა მართლაც რომ აქტიურად ერევა პიონერულ საქმიანობაშიც და სასწავლო პროცესის წარმართვაშიც. სკოლა რომ მაღალი მოსწრებით გამოირჩევა, ეს ჩვენი შეფების დამსახურებაცაა... ეს ერთი წელია ქარხნის ეზოში დგას წარჩინებულთა და ჩამორჩენილთა დაფები... რომელი მშობელი არ იქნება დაინტერესებული თავისი შვილის კარგი სწავლით? ეს დაფები კი ლაკმუსის ქაღალდივითაა: უტყუარად ასახავს მოსწრების მდგომარეობას სკოლაში, რაც მშობლებს ეხმარება შვილებთან ურთიერთობის კორექტირებაში...

●

კიდევ ერთხელ შევავლე პიონერებს მზერა და მივხვდი, ვისთანაც მქონდა საქმე — ესენი სწორედ იმ „საპატიო დაფის“ კავალრები იყვნენ, ქარხნის ეზოში რომ დგას. ესენი ფრიადოსანი და ბეჯითი მოსწავლეები, მშობლების გულის გამხარებლები, საიმედო ცვლა, მომავალი მუშები და მეცნიერები იყვნენ და, რაღა თქმა უნდა, რომ აქ, ამ კაბინეტში თითოეული მათგანი ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში...

და ეს სიამაყეც, მათს მზერასა და საუბარში რომ გამოკრთოდა, მათი საქმეებითა და სიბეჯითით იყო გამოწვეული — ისინი კანონიერი სიამაყის გრძნობით, სრული პასუხისმგებლობითა და საქმიანი იერით ყვებოდნენ თავიანთ საქმეებზე.

ყოველი მათი სიტყვა სარწმუნო და გადამდები იყო.

სიმართლე ხომ მუდამ საცნაური და გადამდებია...

ფოტო ვ. ბორისენკოსი

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

«გნიოზდიშკო»

ს. გირერი

მხატვარი

რ. ცუცქირიძე

მოთხრობა

1918 წელს, გაცხარებული სამოქალაქო ომის დროს, მოსკოვში გაიხსნა პირველი საბავშვო ბაღი „გნიოზდიშკო“.* საბავშვო ბაღი ქარხანა „დინამოს“ მახლობლად მდებარეობდა და მისი აღსაზრდელები ამ ქარხნის მუშათა შვილები იყვნენ. მოსკოვი შიმშილობდა. დღეში თითო სულზე მერვედი გირვანქა შავი პური ნაწილდებოდა, თანაც პური ბზისა და მზესუმზირის ჩენჩონარევი ჭვავის ფქვილისაგან იყო გამომცხვარი. შიმშილობდნენ „გნიოზდიშკოს“ აღსაზრდელებიც.

ერთ დილას „დინამოს“ მუშამ დარია ვასილის ასულმა ბარკასოვამ თავისი შვილი სერიოჟა საბავშვო ბაღში მიიყვანა და ახალგაზრდა აღმზრდელს ანა ნიკიტას ასულს შესჩივლა:

— ვერ გაუძლებენ ბავშვები ამ გაჭირვებას, ყოველ საღამოს მშივრები ბრუნდებიან შინ. ჩემი სერიოჟა ისეა გამოლასლასებული, ქუჩაში რომ მომყვება, გეგონება ქარი აქანავებსო.

— მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია შველა ამ უბედურებაში, — ამოიოხრა ანა ნიკიტას ასულმა, — ოღონდ მასთან მისვლაა საჭირო.

რამდენიმე დღის შემდეგ დარია ვასილის ასული კრემლში, ლენინთან წავიდა.

ლენინის კაბინეტში რამდენიმე ტელეფონი იდგა. ტელეფონის აპარატებზე წამდაუწუმ ინთებოდა სასიგნალო ნათურები, მაგრამ ლენინი ხელს არ ჰკიდებდა ყურმილს, იგი ყურადღებით უსმენდა ბარკასოვას.

— დიახ, მძიმე დღეშია ჩვენი ქვეყანა, — თქვა მან.— მაგრამ ჯერჯერობით ყველას დაპურება არ ძალგვიძს. პირველ რიგში მაინც ბავშვებზე უნდა ვიზრუნოთ.

ვლადიმერ ილიას ძე წამოდგა და ვეება რუკასთან მივიდა.

— შეხედეთ, — მიმართა დარია ვასილის ასულს, — აი, აქ თეთრები არიან, აქ კი — ჩვენები. აგერ, წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ სიმბირსკის მიწაზე, უხვ მოსავალს ვიღებთ და მუშებს მალე გავუდიდებთ ულუფას. დახედეთ რუკას, ხედავთ სიმბირსკს?

— ვლადიმერ ილიჩ, — შეცბუნდა დარია ვასილის ასული, — მე წერა-კითხვის უცოდინარი ვარ, მხოლოდ ამ ზამთარში დაგვაწყებინეს სწავლა. თანაც ყინვებმა შეგვიშალა ხელი, სამელნეში მელანი იყინებოდა. ასოებს კი ვცნობ, მაგრამ გადაბმით კითხვა ჯერ კიდევ არ ვიცი.

— მაშასადამე, სწავლა დაიწყეთ? ეს ძალიან კარგია.

ვლადიმერ ილიას ძემ კაბინეტში გაიარ-გამოიარა.

— აი რას გირჩევთ: დაუყოვნებლივ უნდა წახვიდეთ სიმბირსკში. საშვებს მიიღებთ.

დარია ვასილის ასული სიხარულისაგან ფრთაშესხმული დაბრუნდა შინ.

სულ მალე დარია ვასილის ასული სხვა ამხანაგ მუშებთან ერთად სიმბირსკში, ლენინის მშობლიურ მხარეში გაემგზავრა.

ერთი კვირის მერე კი აღმზრდელმა ანა ნიკიტას ასულმა ბავშვებს გამოუცხადა:

— თქვენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინისაგან ნობათი მოგვიდათ.

მან თავისი აღსაზრდელები სუფრასთან მიიყვანა, რომელზეც იმ დროისათვის არნახული საუზმე იყო გაშლილი — ხიზილალაწასმული პური და კაკაო.

პატარები უნდობლად შესცქეროდნენ სუფრას: ხიზილალა რაღაც საშინელება ეგონათ, რატომღაც კაკაოც აფრთხობდათ.

— ჭამეთ, ბავშვებო, — უთხრა ანა ნიკიტას ასულმა, — ვლადიმერ ილიას ძემ გამოგიგზავნათ ყველაზე გემრიელი რამ, რაც კი მოიძევება მოსკოვში. ესენი ბურჟუებმა დაუმალეს მუშებს.

პირველმა სერიოჟა ბარკასოვმა გაბედა — სუფრას მიუჯდა და ჭამას შეუდგა. მას სხვებიც მიჰყვნენ. ყველას ძალიან ეგემრიელა მორთმეული სასმელ-საჭმელი.

ცოტა ხანში „დინამოს“ მუშებიც დაბრუნდნენ სიმბირსკიდან. დარია ვასილის ასულმა საბავშვო ბაღს ბლომად ფქვილი და ბარდა ჩამოუტანა, თან პატარა გოჭიც მოაყოლა.

მოვიდა ზამთარი და „გნიოზდიშკოში“ სიცივემ დაისადგურა. შეშა არ ჰქონდათ და, ცხადია, არც ღუმელი ენთო. ბავშვები პალტოგაუხდელები ისხდნენ ოთახებში და ერთთავად ხელებს იორთქლავდნენ.

— „გნიოზდიშკო“ უნდა გათბეს, — თქვეს ქარხანა „დინამოს“ მუშებმა. — შეშა არ იშოვება, მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს დაძველებული, საცხოვრებლად გამოუსადეგარი ხის სახლები. დავანგრიოთ და საბავშვო ბაღს შეშა ექნება.

მუშებმა დაშალეს ერთი სახლი, მორები დახერხეს და საბავშვო ბაღში მიზიდეს. ეს ამბავი ახალი წლის დამდეგს მოხდა.

მაშინ ანა ნიკიტას ასულმა მეზობელი ჭალიდან ნაძვის ხე მოიტანა. ბავშვებმა იგი სათამაშოებით მორთეს. თვითონაც ნაირ-ნაირად მოიკაზმნენ: ზოგი ვითომ მგელი იყო, ზოგი კიდევ — მელა, ჭოტი, გუგული, ციცინათელა, მწერიჭერია სოკო... სერიოჟას ტყის ქონდრისკაცად გადააცვეს და „სახლის საყარაულოდ“ ფანჯარასთან დასვეს, რომ შიგ არ შემოეშვა შავი ბარონი ვრანგელი და ბანდიტების ატამანი მახნო.

— ბავშვებო, — უთხრა ანა ნიკიტას ასულმა პატარებს, — ამაღამ ახალი წელი გეწვევათ. მოდით, ლენინს წერილი მივწეროთ, ახალი წელი მივულოცოთ.

— მივწეროთ, მივწეროთ! — აყრიამულდნენ ბავშვები.

აღმზრდელმა მაგიდის უჯრიდან რუხი, შესახვევი ქაღალდის ფურცელი ამოიღო და ღუმელში მოგიზგიზე ცეცხლის შუქზე ლენინთან წერილის წერას შეუდგა. წერილის ტექსტს ბავშვები კარნახობდნენ.

პირველად ნატაშამ უკარნახა:

— „ძვირფასო პაპა ლენინ! ჩვენ ყველანი ერთად გწერთ წერილს. გილოცავთ ახალ წელს! ჩვენს „გნიოზდიშკოში“ ახლა თბილა. ერთმა ხის სახლმა შეშა მოგვცა. ის ისეთი ძველი იყო, შიგ ცხოვრება არ შეიძლებოდა. „გნიოზდიშკოში“ უკვე ანთია ღუმელი“.

— „ქარხანა „დინამოში“ კი, — დაუმატა სერიოჟამ,— ქარბუქი ღმუის. ეს დედამ მითხრა. ჩვენი საბავშვო ბაღის ბავშვები ასე ამბობენ, განა ქარბუქი, მშიერი მგელი ღმუისო. მუშები მაინც მუშაობენ. დედაჩემიც მუშაობს. გმადლობთ, პაპა ლენინ, თბილი „გნიოზდიშკო“ რომ მოგვეცი. აქ ერთ ოთახში ნაძვის ხეც კი გვიდგას. გვესტუმრეთ, ჩვენთან თბილა“.

*გნიოზდიშკო — პაწია ბუდე.

თვითნაკეთ კონვერტზე დააწერეს მისამართი: „კრემლი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინს“.

1921 წლის შვიდი ნოემბრის დილა იყო. დარია ვასილის ასული ქარხნის ზეიმზე წასასვლელად ემზადებოდა.

სერიოჟამ შენიშნა, რომ დედამისი რაღაც განსაკუთრებული გულმოდგინებით იკაზმებოდა.

— დედა, სად მიდიხარ?

— ქარხანაში, შვილო.

— დღეს რომ უქმეა და ქარხანა არ მუშაობს?

— ჰო, მაგრამ დღეს ჩვენს ქარხანაში ლენინი მოვა. მე იქ დიდი საქმე მაბარია — უნდა ვიმორიგეო საამქროში, სადაც ლენინი სიტყვით გამოვა. აი, ნახე, წითელი სამკლაურიც მომცეს.

სერიოჟას გაუხარდა: მისი დედა დიდი ქალია, ლენინთან შეხვედრაც კი აქვს დავალებული.

— მეც მინდა ლენინის ნახვა. წამიყვანე ქარხანაში

— არ შეიძლება, სერიოჟა. იქ ბევრი ხალხი იქნება, გაიჭყლიტები.

— რას ამბობ, დედა, მე ხომ უკვე დიდი ვარ! წამიყვანე, რა!

— კარგი, აბა! ოღონდ სწრაფად მოემზადე.

მალე დედა-შვილი ქუჩაში გავიდა. დილის სუსხს რუებისათვის ყინულის აპკი გადაეკრა. ირგვლივ კი მხიარულება სუფევდა. გარმონებს უკრავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ... პირველი მშვიდობიანი ოქტომბრის ზეიმი იყო: დაამარცხეს ანტანტა, კოლჩაკიცა და დენიკინიც, ვრანგელი ზღვაში გადააგდეს, მახნოს კუდით ქვა ასროლინეს.

დარია ვასილის ასული და სერიოჟა ქარხანას მიადგნენ.

— სერგეის მიმიხედეთ, გეთაყვა, — სთხოვა ბარკასოვამ მელიფტე ქალს — აგრაფინა მათეს ასულ ვიუგინას, როცა მეოთხე სართულზე ავიდნენ, — მე საქმეები მაქვს.

დარია ვასილის ასული საამქროში შევიდა, სერიოჟა კი ლიფტში დარჩა და მელიფტესთან ერთად ადი-ჩამოდიოდა, ადი-ჩამოდიოდა — მუშები აჰყავდათ.

ლენინი რომ მოვიდა, ვიუგინამ იგი ლიფტის კაბინაში შეუშვა, თვითონ კი აფორიაქდა: ასეთი დიდი ადამიანი ხომ მას არასოდეს აუყვანია თავისი ამწეთი. სერიოჟა მელიფტის ზურგს ამოეფარა და გაიტრუნა.

უცებ მეორე და მესამე სართულებს შორის ლიფტი გაჩერდა. აგრაფინა მათეს ასულმა ხან ასე დააჭირა ღილაკს თითი, ხან ისე, მაგრამ ამაოდ. ერთხელ კიდევ სცადა და... უეცრად ტირილი აუვარდა.

— ხშირად ხდება ასე? — ჰკითხა ლენინმა.

— კი, ხდება ხოლმე, მაგრამ დღეს არ უნდა მომხდარიყო... საგანგებოდ შეაკეთეს, გაპოხეს.

— ნუ ღელავთ, — უთხრა ლენინმა, — ყველაფერი მოგვარდება.

ამ დროს სერიოჟამ თავი ვერ შეიკავა და თქვა:

— ზეინკალს უნდა გამოვუძახოთ. მას აი, ამხელა გაზი აქვს, ჩაქუჩებიც.

ლენინმა დაინახა სერიოჟა და გაიცინა.

— ოჰო! საიდან მოსულხართ, ამხანაგო ფარაჯიანო, რომელი ფრონტიდან?

— საბავშვო ბაღ „გნიოზდიშკოდან“ ვარ. ჩემს აღმზრდელს ანა ნიკიტას ასული ჰქვია.

— აი თურმე რა ყოფილა! თქვენს საბავშვო ბაღში ყველა სამხედროა?

— ყველა არა, მხოლოდ მე. ეს დედამ შემიკერა მამიკოს ფარაჯისაგან. მამა პერეკოპთან მოკლეს, ფარაჯა მისმა ამხანაგებმა ჩვენ გამოგვიგზავნეს. ახლა მამას მაგივრად მე მინდა ფრონტზე წავიდე. ოღონდ ანა ნიკიტას ასული არ მიშვებს. მეუბნება, ჯერ უნდა ისწავლოო. დედა კი ამბობს, ომი დამთავრდა და სამხედროები უკვე აღარ გვჭირდებიანო. სულ ერთია, მე მაინც მიყვარს ფარაჯა. ხედავ, წითელი ვარსკვლავიცა მაქვს.

— ვხედავ, ვხედავ, — მიუგო ლენინმა. — შენ ეს მითხარი, რა გქვია?

— სერგეი ივანეს ძე. მამას კი ივანე პეტრეს ძე ერქვა.

— ახლა სად მიდიხარ, სერგეი ივანოვიჩ?

— ლენინთან. ის აქ მალე მოვა. დედამ მითხრა.

— შენ იცნობ ლენინს?

— ჩვენ მას წერილი მივწერეთ.

— მერედა, სერგეი ივანოვიჩ, რასა წერდით წერილში?

— დეიდა ანა წერდა, ჩვენ კი ყველანი ვკარნახობდით.

— რას კარნახობდით?

— ჩვენ ვკარნახობდით: „გვესტუმრე, პაპა ლენინ. ჩვენთან, „გნიოზდიშკოში“ თბილა. ერთმა ხის სახლმა შეშა

მოგვცა. ძალიან ძველი სახლი იყო. მორები დახერხეს“.

— კარგი მეხსიერება გქონია, სერგეი ივანოვიჩ, — თქვა ლენინმა. — კი მაგრამ, სადაა წერილი? ლენინს არ მიუღია ის.

— არ გაგვიგზავნია. ლენინს ისედაც ბევრი საქმე აქვს... ძია, როგორ მიხვდი, რომ ლენინს ის წერილი არ მიუღია?

— მე, სერგეი ივანოვიჩ, კარგად ვიცნობ ლენინს, — უპასუხა ვლადიმერ ილიას ძემ.

— იგი სადაცაა მოვა და შენც ნახავ! — წამოიძახა სერიოჟამ. — დედაჩემი, იცი, დღეს ქარხანაში ყველაზე დიდი ვინმეა, წითელი სამკლაური უკეთია, მორიგეა.

ამასობაში ზეინკლები მოვიდნენ. მათ ლიფტი შეაკეთეს და კაბინა მეოთხე სართულზე ავიდა, სადაც მუშების კრება ტარდებოდა.

საამქროს შესასვლელთან წითელსამკლაურიანი ქალი მორიგეობდა.

— ძია, ეს ჩემი დედაა. ხედავ?

— გამარჯობათ, ამხანაგო ლენინ! — მიესალმა დარია ვასილის ასული ვლადიმერ ილიას ძეს.

სერიოჟამ გაოცებისაგან პირი დააღო: რამდენი ილაპარაკეს ლიფტში, მას კი აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს ლენინი იყო.

— მოიცათ... მოიცათ. — უთხრა ლენინმა დარია ვასილის ასულს, — თქვენი სახე მეცნობა. სად შეგხვედრივართ?

— თქვენს კაბინეტში, ვლადიმერ ილიჩ, კრემლში. გახსოვთ, თქვენ რომ მთხოვეთ, რუკაზე სიმბირსკი მომეძებნა?

— ამხანაგი... ბარკასოვა? ჰო, ძალიან კარგად მახსოვს. თქვენ მაშინ თქვით, წერა-კითხვა არ ვიცი.

— ახლა კი, ვლადიმერ ილიჩ, სხვებს ვასწავლი.

•

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. წინა რიგში ბავშვები ისხდნენ. სერიოჟამაც მათ შორის მოიკალათა.

ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ისმოდა მხოლოდ ვლადიმერ ილიას ძის მკაფიო ხმა.

— ნგრევა-გაპარტახებასთან ომი იმაზე ადვილი როდი იქნება, რაც გენერლებთან, მემამულეებთან, ბურჟუაზიასთან ბრძოლაში გადავიტანეთ. ჩვენ გავიმარჯვებთ სამეურნეო ფრონტზეც, როგორც გავიმარჯვეთ სამოქალაქო ომის ფრონტებზე. და ეს ამხანაგები, — ლენინმა სერიოჟასა და სხვა ბავშვებისაკენ მიუთითა, — კომუნისტური წყობილების სრული აყვავების მომსწრენი იქნებიან.

ასე დაამთავრა ვლადიმერ ილიას ძემ თავისი სიტყვა.

დარბაზში თითქოს ქარიშხალი ატყდა. „ვაშა!“ — ყვიროდნენ მუშები, ისე ხმამაღლა, რომ ფანჯრების მინებს სულ ზრიალი გაჰქონდათ. სერიოჟა და მისი ტოლებიც აღტაცებულნი უკრავდნენ ტაშს.

ვლადიმერ ილიას ძე ბავშვებთან მივიდა და სხვებთან ერთად მღეროდა „ინტერნაციონალს“, საიდანაც სერიოჟას ყველაზე უფრო დაამახსოვრდა სიტყვები: „ჩვენ ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს...“ მის მეხსიერებაში აგრეთვე სამუდამოდ ჩარჩა სურათი: წითელსამკლაურიანი, მუშა ქალებში ჩამდგარი მღეროდა დედამისიც, რომლის ღაწვებზე მსხვილი ცრემლები მოგორავდა.

თარგმნა ს. ბეჩოელმა

ლენინი ახალგაზრდობის მეგობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სკოლის მოსწავლეებს

ეცადეთ თქვენი ორგანიზაციის მთავარ მიზნად გაიხადოთ თვითგანათლება, დარწმუნებულ, მტკიცე და გამობრძმედილ სოციალ-დემოკრატებად ჩამოყალიბება. რაც შეიძლება უფრო მტკიცედ განასხვავეთ ეს ფრიად მნიშვნელოვანი და აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა უშუალო პრაქტიკული საქმიანობისაგან.

1902 წელი.

სანქტ-პეტერბურგის კომიტეტთან არსებულ მეგრძელ კომიტეტს

მიმართეთ ახალგაზრდობას, ბატონებო! აი, ერთადერთი, ყოვლისმხსნელი საშუალება. თორემ, ღმერთმანი, დაიგვიანებთ (მე ამას ყველაფრით ვხედავ) და ხელში შეგრჩებათ „მეცნიერული“ ბარათები, გეგმები, ნახაზები, სქემები, სანაქებო რეცეპტები, მაგრამ ორგანიზაცია, ცოცხალი საქმე კი არ გექნებათ. მიმართეთ ახალგაზრდობას.

1905 წელი.

მოსსენება 1905 წლის რევოლუციის შესახებ

ჩვენ, მოხუცებმა, შეიძლება, ვერ მივაღწიოთ ამ მომავალი რევოლუციის გადამწყვეტ ბრძოლებამდე. მაგრამ, მე მგონია, შემიძლია დიდი რწმენით გამოვთქვა იმედი, რომ ახალგაზრდობას, რომელიც ასე მშვენივრად მუშაობს შვეიცარიისა და მთელი მსოფლიოს სოციალისტურ მოძრაობაში, ბედნიერება ექნება, არა მხოლოდ იბრძოლოს, არამედ კიდევაც გაიმარჯვოს მომავალ პროლეტარულ რევოლუციაში.

1917 წელი.

სიტყვა კომუნისტ-მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წლის 17 აპრილს

ძალიან მოხარული ვარ მოგესალმოთ. არ ვიცი, რამდენი გუბერნიაა აქ წარმოდგენილი და საიდანა ხართ ჩამოსულნი. საყურადღებო ის არის, რომ ახალგაზრდობა, კომუნისტური ახალგაზრდობა ირაზმება. საყურადღებო ის არის, რომ ახალგაზრდობა იკრიბება, რათა ახალი სკოლის შენება ისწავლოს. ახლა თქვენს წინაშე ახალი სკოლაა. ძველი, ათვალწუნებული, სახაზინო, საძულველი და თქვენთან დაუკავშირებელი სკოლა უკვე აღარ არის. მუშაობა ჩვენ მიერ ძალიან დიდი ხნისთვისაა ნავარაუდევი. მომავალი საზოგადოება, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, საზოგადოება, რომელშიც არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს, — ეს საზოგადოება დიდხანს უნდა ვაშენოთ. ამჟამად ჩვენ მომავალ საზოგადოებას მხოლოდ საძირკველს ვუყრით, ხოლო შენება თქვენ მოგიხდებათ, როცა დავაუკაცდებით. ახლა კი იმუშავეთ თქვენი ძალ-ღონის მიხედვით, ხელს ნუ მოჰკიდებთ ისეთ სამუშაოს, რაც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება, იმუშავეთ უფროსების ხელმძღვანელობით. ერთხელ კიდევ მივესალმები ყრილობას და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას თქვენს საქმეში.

1919 წელი.



ლა ერა აქვს ეს ლასასრული

თემურ მეგრელელი

მე აქ მარტოობა მიყვარს.

ადამიანები ხშირად შემოდიან ჯგუფებადაც, მაგრამ არასოდეს არღვევენ დიდი დარბაზების მყუდროებას.

ყველა თავის ფიქრთან რჩება და, იქნებ ვერც გრძნობენ თვითონ, ამ წუთებში ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. უფრო თვალები აქვთ ერთნაირი.

მე მჯერა, რომ თვალები ადამიანის გულის სარკეა და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ მე ვიცი, რატომ ვგავართ ახლა ერთმანეთს, სიტყვის უთქმელადაც რომ გვესმის ერთმანეთისა: ჩვენთვის ერთნაირად მახლობელი და ძვირფასია, რაც ამ დიდ სახლშია...

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი 1938 წლის 2 ივლისს გაიხსნა. მის დარბაზებში განლაგებული ექსპოზიცია ამაღელვებლად და შთამბეჭდავად მოგვითხრობს მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მეთაურის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ექსპოზიციაში მრავალი ისეთი დოკუმენტია, საქართველოსაგან დიდი ბელადის ცხოვრების განუყრელობაზე რომ მეტყველებს. რევოლუციური მოღვაწეობის პირველი წლებიდანვე ხომ არაერთ ქართველ თანამებრძოლთან ჰქონდა უაღრესად გულითადი, ადამიანური ურთიერთობა. მათ ოცნებებსა და მისწრაფებებს ადუღაბებდა სამშობლოს, კაცობრიობის ნათელ მერმისზე ზრუნვა.

იმ ხანებში, როცა მთელი პროგრესული მსოფლიო ზეიმით აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების მე-100 წლისთავს, მუზეუმს კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა შეემატა — გაიხსნა ოთახი — კრემლში ლენინის სამუშაო კაბინეტის ასლი. რამდენი ფერგაუხუნარი მოგონება, რამდენი დაუვიწყარი ფაქტია დაკავშირებული თითოეულ ნივთთან, თითოეულ ექსპონატთან...

მუზეუმის პირველი დარბაზი ბელადის ბავშვობასა და ყრმობას ასახავს. რაგინდ გულდაგულ არ უნდა

* **რა დაავიწყეგთ კახა კოჟიაშვილსა და გიორგი ხოჯიაშვილს პიონერთა რიგებში საზეიმოდ მიღების დღეს.**

უსმენდე ექსკურსიამძღოლის ნაამბობს, ფიქრი მაინც ხშირად დაგიმარტოვებს და თვალწინ დაგიყენებს ძველ სიმბირსკს, ახლა ამაყად რომ ატარებს ულიანოვის სახელს. აქ დაედო სათავე დიდი ცხოვრების გზას, რომელიც ყველაზე მაღალი ადამიანური იდეალებისათვის თავდადებული ბრძოლის მაგალითად დარჩა საუკუნოდ.

მე მესმის შენი მღელვარება, ჩემო პატარა მეგობარო. მე ვიცი, რაზე ფიქრობ ახლა შენ, ვინც რამდენიმე ხნის შემდეგ, ვიდრე მუზეუმიდან გახვალ, შეეცდები ყმაწვილური გულწრფელობით, ყოველგვარი ყალბი პათეტიკის, ხმაურიანი სიტყვების გარეშე შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერილი ძუნწი სტრიქონებით გამოხატო შენი განწყობილება: „დღეს თბილისის 72-ე საშუალო სკოლის IV-ა კლასის მოსწავლეები ვესტუმრეთ დიდი ბელადის მუზეუმს. დიდხანს ვათვალიერებდით ლენინის სამუშაო ოთახს, დაგვამახსოვრდა მედალი, რომელიც მან გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების გამო დაიმსახურა.“

ძალიან მომწონს მეოთხეკლასელების — ც. ნაცვლიშვილის, ლ. ცერცვაძის ჩანაწერის უშუალობა. არც შემთხვევითია იგი, იქნებ ერთი ყველაზე დიდი გაკვეთილი, რაც ბავშვებმა დღეს მუზეუმის გაცნობით მიიღეს, სწორედ ესაა — იყო ყველგან, ყოველთვის გულწრფელი, არასოდეს უღალატო საკუთარ თავს და არ ეცადო მოჩვენებითი განსაკუთრებულობით მოხიბლო სხვები. განა ამგვარი უბრალოებითა და ადამიანურობით არ გამოირჩევა დიდი ბე-



*

დიდი გელადის ცხოვრებასთან დაკავშირებული ყოველი დოკუმენტური მასალა აინტერესებს თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მარიკა ნარიმანიძეს.

ქანდაკებამ „ლენინი — გიმნაზიელი“ დანახვისთანავე მოხიბლა ნორჩები.



*

ლადის მთელი ცხოვრება. ბავშვობიდან მოყოლებული! ამ ადამიანურ უბრალოებაში იყო სიდიადე.

ვ. ლენინის ერთ-ერთი თანაკლასელი იხსენებდა: „მართალია, ვლადიმერ ულიანოვი ყველა ჩვენგანს აღემატებოდა ცოდნითა და ნიჭით, მაგრამ არასოდეს უსვამდა ხაზს თავის პირველმოსწავლეობას და ჩვენი უსაყვარლესი ამხანაგი იყო. მტკიცე და ზომიერი, ბრწყინვალე ტალანტის პატრონი, ჯერ კიდევ მოსწავლის სკამზე იძლეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის, თავმდაბლობის, კულტურულობის, დისციპლინის მაგალითს“...

კეთილი, სხვებზე მზრუნველი და მოსიყვარულე — ასეთი იყო იგი სიყმაწვილეში და ასეთი დარჩა მთელი სიცოცხლე. და რამდენადაც ერთგული და უსაზღვრო სიყვარული შეეძლო და რამდენადაც უანგაროდ იქმოდა კეთილს, იმდენად შეურიგებელი და უტეხი ხდებოდა მისი სული ყოველგვარი ბოროტებისა და მანკიერების მიმართ!

შენ ეძებ პასუხს, შენ გინდა იცოდე, საიდან იწყება ლენინი — დიდი მოაზროვნე და რევოლუციონერი. შენ ეძებ პასუხს, შენ გინდა იცოდე, რას ნიშნავს ლაკონიურ ფრაზაში გაცხადებული აზრი — რევოლუციას აქვს დასაწყისი, რევოლუციას არა აქვს დასასრული. უნდა იცოდე, უნდა გესმოდეს, რაკი იმ დღიდან, როცა მკერდი პიონერის ალისფერი ყელსახვევით დაგიმშვენეს, შენს თავს სიამაყით თვლი მილიონობით ლენინელის მებრძოლ რიგებში, სადაც მხოლოდ იმისათვის დგებიან, რომ მთელი სიცოცხლე უწმინდესი ადამიანური იდეალების სამსახურს მოახმარონ.

შენ ეძებ პასუხს, შენ გინდა იცოდე — საიდან იწყება ლენინი — დიდი მოაზროვნე და რევოლუციონერი.

იქნებ იმ წუთიდან, როცა 14 წლის სტუდენტი არ შეუკრთა შუბლშეკრული ბოქაულის რისხვას და მის ირონიულ შეკითხვას: — „რას უჯანყდებით, ყმაწვილო? თქვენს წინ ხომ კედელია!“ — მშვიდად უპასუხა: — კედელია, მაგრამ დამპალია, ხელი რომ ჰკრა, დაინგრევა!

იქნებ იმ წუთიდან, როცა ძმის, ალექსანდრეს სიკვდილით დასჯის ცნობით გულშეძრულ დედასთან განმარტოებულმა ფიცივით წარმოთქვა: — არა, ჩვენ ასეთი გზით არ წავალთ, ასეთი გზით არ უნდა ვიაროთ.

დიახ, ეს იყო წუთი, როცა მან საბოლოოდ აჯობა ყოველგვარ ყმაწვილურ ილუზიას, როცა ყველაზე პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა საკუთარ თავთან, თავის ფიქრებთან და ოცნებებთან ჭიდილში.

აი, რატომ ჩერდებიან ასე დიდხანს და ფიქრიანად მუზეუმის დამთვალიერებლები ყველა ჩვენგანისათვის პატარაობიდან ნაცნობ სურათთან, რომელზეც თვალცრემლიან დედასთან მდგარი ვლადიმერ ულიანოვია გამოსახული. აქ, ამ გარემოში, განსაკუთრებით გრძნობს ადამიანი იმ მოვლენის საეტაპო მნიშვნელობას, რასაც სურათი ასახავს.

აქედან გზა ყაზანისაკენ მიდის. შემდეგ — პეტერბურგი...

ბრძოლის, ძიების, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და დროებითი წარუმატებლობის მშფოთვარე წლები.

აი, 1901-ში ბელადის ხელით ანთებული ჩაუქრობი ნაპერწკალი — გაზეთი „ისკრა“.

აი, მისი მოგზგზგზე შუქი ქართულ მიწაზე — იმავ წელს შობილი პირველი მარქსისტული არალეგალური გაზეთი კავკასიაში „ბრძოლა“.

აი, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ნაბეჭდი ლენინის სტატიები და ბროშურები. თითოეული მათგანი — თავისუფლებისათვის საბრძოლველად მომწოდებელი ალისფერი დროშაა — „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“, „მესამე ყრილობა“, „სოფლის ღარიბებს“, „პროექტი რეზოლუციისა კავკასიის ამბების შესახებ“...

1912 წლის 5 მაისი. გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი...

დგება მქუხარე 1917. დიდი ოქტომბრის - რევოლუციის საჭესთან დგას ბოლშევიკური პარტიის ბელადი — ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

„ავრორას“ ზალპის მოლოდინით მოტორტმანე პეტროგრადი სულგანაბული ისმენს მის ხმას. ეს ხმა და სიტყვა მილიონებს შეაკავშირებს.

მ. გორკი: „მისი სიტყვა ყოველთვის იწვევდა ურყევი სიმართლის ფიზიკურ შეგრძნებას“.

...ოქტომბრის შუქი მალე გაანათებს კავკასიონის ჭაღარა მწვერვალებსაც. მანამდე დიდი პოეტი მამულში მოიტანს წითელი პეტროგრადის მხურვალე სუნთქვას:

„გახსენებისას მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი“.

ცრემლები — ხსოვნის, სიხარულის, აღტაცებისა და რწმენის. ამ რწმენას ლენინის სახელი ჰქვია და მას ვერ შეარყევს ვერც შინაური მტრის ხრიკები და ვერც ინტერვენტთა დაუნდობლობა, მას ვერ მოერევა დრო.

ლენინი: — „ვერასდროს დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათთვის და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“.

დიდი რევოლუციის განახლების გრიგალში ნაწრთობი ბელადის ეს სიტყვები გამარჯვების დროშად მიუძღვებოდა ჩვენს ხალხს, როცა დიადი მომავლის სახელით ანგრევდა ძველსა და დრომოჭმულს, როცა შრომის სადიდებელს წერდა პირველი ხუთწლედებით, როცა მსოფლიო ომის ქარცეცხლში მკერდით იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს. დიდებით მოსილი ალისფერი დროშა, რომელსაც ლენინის სახება ამშვენებს, დღეს კომუნისტური მერმისის ნათელისაკენ უხმობს მილიონებს.

ფრიად შთამბეჭდავია სკულპტურული ნაწარმოები, რომელიც გამოსახავს ვ. ი. ლენინს მუშაობის დროს.

ეს დროშა იშვიათად დახრილა ძირს, მარტოოდენ უწმინდესი ადამიანური ხსოვნისა და პატივის ნიშნად და არასოდეს — სასოწარკვეთის, უიმედობის გამომხატველად.

ასე იყო 1924 წლის სუსხიან იანვარში, როცა საბჭოეთი, მთელი პლანეტის პროლეტარიატი ემშვიდობებოდა თავის უსაყვარლეს ბელადსა და წინამძღოლს. იმ დღეთა ხსოვნა შემოუნახავს მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზს, სადაც კრემლის კედლის მაკეტზე ჩამოშვებულ წითელ ატლასზე ოქროს ასოებით წერია: „მარქსის შემდეგ პროლეტარიატის დიადი განმათავისუფლებელი მოძღვრების ისტორიას ჯერ არ მოუცია ისეთი გიგანტური ფიგურა, როგორიც იყო ჩვენი განსვენებული ბელადი, მასწავლებელი, მეგობარი.“

გლოვის დღეები, ბელადთან გამომშვიდობების დღეები მისი დიადი საქმისადმი მარადიული ერთგულების ფიცადაც იქცა და ამ წმინდათა წმინდა ფიცისთვის არასოდეს უღალატია საბჭოთა ხალხს.

ლენინის ნათელი სახელი და სახე ადრეული სიყმაწვილის გარიჟრაჟზე შემოდის თითოეული ჩვენგანის ხსოვნაში, რათა ყოველთვის გვიძღოდეს წინ ჩვენი ოცნებების და მიზნების ახდენის გზაზე. მამების რწმენა, მამების იმედი მოაქვს ჩვენს გულამდე პოეტის სტრიქონებს:

„გვახსოვდეს, გვიყვარდეს, ვისწავლოთ ილიჩი —
ის მარად უქრობელ შუქურად ანთია.
ილიჩის ანდერძით, ილიჩის სიბრძნის გზით
მიგვიძღვის ლენინის დიადი პარტია“.

აქედან, მუზეუმის ამ ნათელი დარბაზებიდან, გულში ჩამდგარი სულ სხვა ნათელით გამოდიხარ ფართო ქუჩაზე.

მზეა ცხრათვალა, გაზაფხულის მოჩახჩახე მზე...

ფოტო ვ. ბორისენკოსი

ლენინის სახელს ატარებს

ლენინის სახელს ატარებს,
ქვეყნად რაც დიდებულია:
ხომალდები და გემები,
ზღვებს რომ გარშემო უვლიან,
ჩახჩახა ელსადგურები
სამზეოდ შემართულია,
სოფლები აყვავებული,
მორთული, მოკაზმულია,
ვეება სასახლეები,
ზეცამდე ამართულია,
ქალაქები და ქუჩები
ნაქარგი, გამართულია.
ლენინის სახელს ატარებს
ყველა მშრომელის გულია.

მთქმელი ნ. მსუქნიაშვილი,
თელავის რაიონი, სოფ. წინანდალი.

შუქურასავით ანთია

ლენინი ჩვენი მტრებისთვის
ტყვიაა გულზე სახალი,
ჩვენთვის კი სიხარულია,
ლხენაა მარად ახალი.
რა ძალა ჰქონდა, რა აზრი,
რა ნებისყოფა ურღვევი,
რომ ვერ გატეხა მტრის რისხვამ,
დარჩა ბოლომდე ურყევი.
ლენინის ანდერძს ასრულებს
ჩვენი დიადი პარტია,
ის ჩაგრულ ხალხის იმედად
შუქურასავით ანთია.

მთქმელი გ. რუხიაშვილი,
თიანეთის რაიონი, სოფ. საყდრიონი.

ყოველი დილა

ლენინის აზრით ინთება
ყოველი დილა ჩვენშია,
ლენინის შუქი ანათებს
მარადთოვლიან მთებშიც.
იგია ხალხთა იმედი,
მარად უკვდავი გენია,
მასზე სიმღერას შრიალებს
ტოტებგაშლილი ხენია,
და მე რომ ვუთხრა სიმღერა,
ეს განა გასაკვირია?!
მისი სახელის ხსენება
ღვიძლ მამასავით ტკბილია.
ლენინის საქმეს დიდება,
ლენინის სახელს დიდება,
შუქდაუვალი მისი მზე
ხვალ ყველგან ამობრწყინდება.

მთქმელი ნ. გიგაური,
თიანეთის რაიონი, სოფ. ვერხველი.

ლენინს უყვარდა მშვიდობა

ლენინს უყვარდა მშვიდობა,
მშვიდობისათვის იბრძოდა,
თუ ვინმე ომს აპირებდა,
გულით მაშინვე იგრძნობდა
და შუბლზე ეფინებოდა
დარდის, ვარამის ნისლია,

ქოფოლეკვეკი ვ. ი. ლენინთან

ბ. ალბერტი-პლოსჩანსკაია

მხატვარი რ. ცუცქირიძე

...1920 წლის აგვისტოს მიწურულია. მოსკოვში ვარ. საშინელი სიცხე და მტვერია. ქუჩები ხალხითაა გაჭედილი. დელოვოი დვორში მივდივარ, სადაც კომინტერნის II კონგრესის დამთავრების შემდეგ კომისიების სხდომა მიმდინარეობს. ლენინი იქ არისო, მითხრეს.

ვ. ი. ლენინის ნახვა მჭირდება. მხოლოდ მას შემიძლია გადავცე წერილი, რომელიც კაბის საყელოში მაქვს ჩაკერებული. ამხანაგმა მოისეევმა, კომინტერნის სამხრეთ ბიუროს წარმომადგენელმა, მიბრძანა:

„გაუფრთხილდი ამ წერილს, რაც არ უნდა შეგემთხვას, უვნებლად ჩაიტანე მოსკოვში და პირადად გადაეცი ამხანაგ ლენინს. შეეცადე უცხო პირს არ ჩაუვარდეს ხელში. შენ ახალგაზრდა და გაბედული ხარ, ეს არაერთხელ დაგიმტკიცებია. ამიტომ შენი იმედი გვაქვს“.

მოისეევის სიტყვებმა აღმაფრთოვანა და აი, დელოვოი დვორში ვარ. მაგრამ ადვილი როდი გამოდგა გუშაგების დარწმუნება, რომ ლენინის ნახვის ნება დაერთოთ. ისინი ეჭვის თვალით შემომცქეროდნენ და ეს არც იყო გასაკვირი: მათ წინ იდგა გაურკვეველი ეროვნების პატარა, სუსტი გოგონა, რომელიც უცხოურ კილოზე ლაპარაკობდა, ერთმანეთში ურევდა რუსულსა და უკრაინულს. განაწამები სახე, ჩაცვენილი წინა კბილები, დაგლეჯილი და ჭუჭყიანი ტანსაცმელი, — ყოველივე ეს ეჭვს იწვევდა. ვინ არის? რატომ მაინცადამაინც ლენინის ნახვა სურს? — ალბათ ფიქრობდნენ ისინი. მითხრეს, წერილი მოგვეცი და ჩვენ თვითონ გადავცემთო, მაგრამ მე აღვშფოთდი: „როგორ? მე პირდაპირ ფრონტიდან მოვდივარ და არ მენდობით? არა, პირადად უნდა ვესაუბრო ლენინს. მის გარდა წერილს არავის გადავცემ“.

ამ დროს დერეფნის მეორე ბოლოში ვილაცები გამოჩნდნენ. ჩემდა საბედნიეროდ, მათ შორის ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული იყვნენ (მე მათ სურათებით ვიცნობდი). მათკენ გავემართე, მაგრამ ვილაცამ გზა გადამიღობა. მაშინ რაც ძალი და ღონე მქონდა დავიყვირე:

— ამხანაგო ლენინ, თქვენთან არ მიშვებენ!

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა წყნარად მკითხა:

— ვინ ხარ და ლენინთან რისთვის მოხვედი?

მაგრამ სანამ მე ხმას ამოვიღებდი, ლენინმა უთხრა:

— ეტყობა გოგონა ძალზე დაღლილია. ჭამა და დასვენება სჭირდება. მერე გვეტყვის ყველაფერს. — შემდეგ მომიახლოვდა და მკითხა:

— რა გვარი ხარ?

— პლოსჩანსკაია.

— პლოსჩანსკი შენი მამაა? — გაკვირვებით იკითხა ლენინმა.

— დიახ.

— სად არის ახლა? ცოცხალია?

მის ხმაში დიდი მზრუნველობა იგრძნობოდა. ყველამ იცოდა, რომ გერმანელებმა ოდესაში სხვა ბოლშევიკებთან ერთად მამაჩემიც წაიყვანეს დასახვრეტად, მაგრამ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალ-ღონეს არ იშურებდა,
არ დაღვრილიყო სისხლია.
ლენინს უყვარდა მშვიდობა,
შენება, ზრდა და მატება,
ლენინს უყვარდა მშვიდობა,
სხივების გადმონათება.
ლენინის ანდერძს ვასრულებთ,
მშვიდობას ვიცავთ ყველანი,
რომ არასოდეს დაბნელდეს
ზეცის ბრწყინვა და ელვარი.

მთქმელი ზ. ლეკიაშვილი,
სიღნაღის რაიონი, სოფ. ზემო ბოდბე.

მას ვუმღერით

ვინც შეგვიქმნა საამური,
ბედნიერი ოქროს ხანა,
მზე სიცოცხლის, მზე სიკეთის
ვინც სამშობლოს მოუტანა,
მას ვუმღერით, მას ვადიდებთ —
დიდ ლენინის დიად ნათელს,
უკვდავია ლენინის მზე,
კომუნიზმის გზას გვინათებს.

მთქმელი ა. გუნცაძე,
ზესტაფონის რაიონი, სოფ. კვალითი.

უკვდავება

ლენინი უკვდავებაა,
სინათლე ჩაუქრობელი,
სიმართლის მებაირახტრე,
უსამართლობის მგმობელი.
მისი გონების ნათელი
სამყაროს გადაფენია,
მწვერვალისაკენ მივდივართ,
გზას გვიკვლევს დიდი გენია.

მთქმელი ი. ბუაჩიძე,
ახმეტის რაიონი, სოფ. დიკლო.

ლენინის საქმეს დიდება

აყვავდა, გაბედნიერდა
მშრომელი კაცის კერია,
ილიჩის უკვდავ სხივებით
დროშები შეგვიკერია.
დიდი მიზნისკენ მივდივართ
ყველა ხალხი და ერია.
ლენინის სიბრძნით სამშობლომ
მტარვალი მოიგერია,
ამაღლდა ყველა ჩაგრული,
ცხოვრების ყველა გერია,
გადაჭარბებით სრულდება
ლენინს რაც დაუდგენია.

მთქმელი ნ. ჭიტაძე,
საჩხერის რაიონი, სოფ. ჭალა.

ასი წლის ბერიკაცი ვარ...

ასი წლის ბერიკაცი ვარ,
ლექსი უნდა ვთქვაო,
ათას ცხრაას ოცდაოთხში
დაგვიბნელდა ცაო.
თვალებზე მომდის ცრემლები,
გული მეწვებაო,
როდესაც მომაგონდება
ის მწუხარებაო.
იანვრის ოცდაერთშია,
მეხი დაგვეცაო,
დიდი ბელადი ლენინი
გარდაიცვალაო.
მაგრამ განა მწუხარებამ
დაგვაძაბუნაო?!
დიდ იმედად შემოგვესმა
ჩვენ პარტიის ხმაო.
პარტიამ დაგვაფოლადა,
მტკიცედ დაგვრაზმაო,
დიდი მიზნისკენ სავალი
გაგვინათა გზაო.

მთქმელი ს. ჭიბოშვილი,
ქ. ყვარელი.

გერმანელის დახმარებით გაიქცა და გადარჩა.

ვლადიმერ ილიას ძემ მამაჩემი ჯერ კიდევ 1903 წელს ლონდონში გაიცნო. მაშინ მამა პროფკავშირების სისტემაში მუშაობდა, 1917 წელს კი ემიგრაციიდან რუსეთში დაბრუნდა და მეც თან წამიყვანა.

— ცოცხალია, — ვუპასუხე მე.

— გოგონას ახლავე უნდა ვაჭამოთ, — თქვა ლენინმა.

შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი. როცა გონს მოვედი, მოსკოვის ახლოს აგარაკ პერლოვკაში ვიმყოფებოდი. მოგვიანებით გავიგე, რომ აგარაკი ექიმ სემაშკოს, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის შვილს ეკუთვნოდა. მე ნერვული სისტემის მოშლა მქონდა. არალეგალური მუშაობა ჩემს ძალას აღემატებოდა.

ერთი თვის შემდეგ ექიმმა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან წამიყვანა. ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მაშინ კრემლის ორ პატარა ოთახში ცხოვრობდნენ.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ნამდვილი დედობრივი მზრუნველობით მეპყრობოდა. იგი ყოველ დილით თმას თავისი ხელით მივარცხნიდა. მივარცხნიდა ძალიან ფრთხილად და ნაზად, რადგან ჭრილობები თავში ჯერ მოუშუშებელი მქონდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი სათნო, კეთილი სახე.

ლენინის ბინაში დაახლოებით ორი კვირა დავყავი. ვლადიმერ ილიას ძეს ყოველდღე ვხედავდი.

ერთხელ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ლენინს უთხრა, რომ მე ტანსაცმელი არ მქონდა. ლენინმა უპასუხა:

— მე მხოლოდ ტალონის მიცემა შემიძლია.

შემდეგ ტალონი გამომიწოდა და სიცილით მითხრა:

— შემიძლია ერთი პრაქტიკული რჩევა მოგცე. შენ ხომ პატარა ხარ. ამოირჩიე ყველაზე დიდი კაბა და იქიდან ორი შეიკერე. ამრიგად, მალე ორი კაბა გექნება.

მე მაშინვე უნივერმაღისაკენ გავეშურე. სიხარულისაგან თითქოს ფრთები გამომესხა. ჩვენს ოჯახში ახალი ტანსაცმელი არასოდეს მცმია. დედაჩემი ყოველთვის უფროსი დების ნახმარ კაბებს მაცმევდა. ახლა კი რასაც მოვინდომებდი, იმის ყიდვა შემეძლო. კაბების სექციაში დიდხანს ვიტრიალე. ბოლოს ვლადიმერ ილიას ძის რჩევის თანახმად ამოვირჩიე ყავისფერი აბრეშუმის დიდი კაბა და ლამაზი, მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი. ერთბაშად ყველაფერი კარგი მომინდა და სრულებითაც არ ვფიქრობდი იმაზე, თუ რამდენად პრაქტიკული და მიზანშეწონილი იყო ჩემთვის ესა თუ ის ნივთი.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ჩემს ფეხსაცმელებს დახედა და სიცილი ძლივს შეიკავა.

— რა კარგებია! — თქვა ბოლოს.

ვლადიმერ ილიას ძემ ეშმაკურად თითი დამიქნია.

— აბა მოდი, მოდი! მიჩვენე, რა ამოირჩიე, — მითხრა მან.

ვიგრძენი, რომ რაღაც შემეშალა და ფუთით ხელში გაუბედავად დავდექი კართან. როცა ფუთა გავხსენი, ლენინმა ხელში აიღო ფეხსაცმელები, ქუსლებზე დახედა და მითხრა.

— ჩაიცვი და ოთახში გაიარ-გამოიარე.

ჩემს სიცოცხლეში პირველად ჩავიცვი მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელები.

— ამ ფეხსაცმელებით ქუჩაში როგორ უნდა იარო? ამაზე თუ დაფიქრდი? კაბა დიდი და ლამაზია, მისგან ორი კაბა გამოგივა.

მაშინ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა თქვა:

— ეგ ჯერ პატარაა, კარგი ტანსაცმელი ალბათ არასოდეს ცმია. ჩვენი ბრალია, მარტო არ უნდა გაგვეშვა. მაგრამ არა უშავს, რაღაცას მოვიფიქრებთ.

და მართლაც, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ერთ ქალთან ერთად ჩემი ნაყიდი კაბიდან შემიკერა კაბა, კოფთა, ბაფთა და პატარა ხელჩანთა. რამდენიმე დღის შემდეგ ვიღაცამ კიდევ ერთი კოხტა, მუქი ლურჯი ფერის აბრეშუმის კაბა მომიტანა, რომელსაც შემდეგ წითელ თავსაფართან ერთად ვატარებდი. ერთმა ბიჭმა (მისი გვარი არ მახსოვს), რომელიც ხშირად ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან და ვლადიმერ ილიას ძესთან დადიოდა და რომელიც ცოტათი მომწონდა, მაჩუქა უბრალო, მაგრამ ლამაზი ფეხსაცმელები.

გავიდა ორი ძნელბედობის წელიწადი. დადგა 1923 წელი. კრემლში კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებული სხდომა მიმდინარეობდა. ლენინი ავადმყოფობის გამო სხდომას არ ესწრებოდა. ის და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მაშინაც კრემლის იმავე პატარა ბინაში ცხოვრობდნენ. სხდომის შემდეგ დელეგატები, ცაკის წევრები ყოველდღიურად ლენინის ბინის წინ მიდიოდნენ და იძახდნენ: „ლენინ! ლენინ! დაგვენახე!“ მათ შორის, რა თქმა უნდა, მეც ვიყავი.

ლენინი ფანჯარას მოადგებოდა და ხელს გვიქნევდა. შემდეგ კი მიდიოდა. ახლა მის ადგილს მედიცინის და იჭერდა და ხელის ქნევით გვანიშნებდა წავსულიყავით. განა ჩვენ არ ვიცოდით, რომ ლენინის ზედმეტად შეწუხება არ შეიძლებოდა.

ასე ვნახე ვ. ი. ლენინი უკანასკნელად.

1924 წლის 22 იანვრის დილა იყო. მალაია ბრონნაიაზე ვცხოვრობდი მშობლებთან ერთად. ვსაუზმობდით, რომ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. გაკვირვებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს: ვინ უნდა ყოფილიყო ასე ადრიანი სტუმარი? მე მაშინვე კარისაკენ გავიქეცი, მაგრამ მამამ შემაჩერა და თვითონ წავიდა გასაღებად. უკან ფეხათრეული დაბრუნდა. დაჯდა, ხელები მაგიდაზე დააწყო და ძლივს გასაგონად თქვა: „გათავდა!“

მე და დედაჩემი მაშინვე მივხვდით, რას ნიშნავდა ეს. ჩვენ დღედაღამ ლენინზე ვფიქრობდით და ამ ამბავმა თავზარი დაგვცა. რამდენიმე წუთით ოთახში დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ წამოვხტი, თვალის დახამხამებაში ტანთ ჩავიცვი და გარეთ გავვარდი. კიბეზე მამა დამეწია და ახლა ორივე ერთად გავიქეცით კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტისაკენ, ჩვენს ამხანაგებთან.

სხდომათა დარბაზში ტევა არ იყო. ტრიბუნაზე ერთი კომკავშირელი ავიდა, მგონი კოლია რებროვი, ხელში შავარშიაშემოვლებული ქაღალდი ეჭირა. შეეცადა ნაწერის წაკითხვას, მაგრამ ხმა ჩაუწყდა...

შემდეგ ტრიბუნაზე მარია ილიას ასული ავიდა. მე სლუკუნით მისკენ გავემართე. ამ დროს ვიღაცამ ხმამაღლა სიმღერა წამოიწყო, მას სხვებიც აყვნენ და ტირილი და სამგლოვიარო მელოდია ერთმანეთში აირია.

არ მახსოვს, რამდენ ხანს გასტანა შეკრებამ. ის კი კარგად ვიცი, რომ მან დამიტოვა მძიმე ჭრილობა, რომელიც მთელ სიცოცხლეში არ მომშუშებია.

მამაჩემი ლენინის კუბოსთან საპატიო ყარაულში მიიწვიეს. ღია ბარათზე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ფანქრით მიეწერა: „თქვენი ქალიშვილიც წამოიყვანეთ“.

პროფკავშირთა სასახლეში თვალი მომჭრა კაშკაშა სინათლემ და უთვალავმა დროშამ. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ხან კუბოსთან იჯდა, ხან აქეთ-იქით დადიოდა და თან ლენინის სახეს თვალს არ აშორებდა.

საპატიო ყარაულში მამასთან ერთად რამდენიმე ხანს მეც ვიდექი. ვიღაცას ჩემი გაგდება სურდა, მაგრამ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა უთხრა: „რას გიშლით, იდგეს!“ შემდეგ თავი ცუდად ვიგრძენი და გარეთ გამომიყვანეს. დაკრძალვას ვერ დავესწარი, რადგან უკვე ავად ვიყავი.

გერმანულიდან თარგმნა
ნოდარ ბასილაძემ

უცნაური სტუმარი

დურმიშხან გრიგოლაშვილი

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

ერთი სიტყვით, თურმე მთელი ორი თვეა, რაც ოთარი მამაჩემის ამ საგანგებო დავალებას ასრულებს და, თუმცა ჯერჯერობით ისეთს ვერაფერს ჩაავლო ხელი, ტრიფონ ლაბაძის პიროვნებას საერთოდ რომ გამოააშკარავებდა, მაგრამ, როგორც ოთარმა მითხრა, ცალკეული წვრილმანებისა და დეტალების გამოწვლილვითი ანალიზი მაიორს თანდათანობით არწმუნებდა წინასწარი ეჭვების საფუძვლიანობაში. მისი ვარაუდით, თუმცა ტრიფონა ჯერჯერობით კვლავ ფრთხილობდა და ბოლომდე არ ენდობოდა „სასიძოს“, მაგრამ შორს აღარც სრული ნდობისა და ნიღბის ჩამოხსნის დრო იყო.

გუშინ განთიადისას მევლუდის მოულოდნელმა სტუმრობამ ერთბაშად მოაახლოვა ეს დრო.

ხვალ, თხუთმეტ ივლისს, საღამოს 7 საათზე ხაშურის რკინიგზის სადგურზე ტრიფონა ლაბაძე იმ რეზიდენტს შეხვდება. და რომ ეს შეხვედრა უსათუოდ მოხდება, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ამის შესახებ კარგად იციან იქაც, სადაც ჯერ არს.

ერთადერთი, რაც ახლა ყველას ძალზე აფიქრებს, — ეს მევლუდის ბედია.

გუშინწინ, შუაღამისას, მევლუდი ტრიფონა ლაბაძეს მიუგზავნეს ყურბანას მაგიერ, შარვლის საქამრე-სარტყელში პაწაწინა ქაღალდი ჩაუკერეს, რომელზედაც რამდენიმე სიტყვა ეწერა. ეს საკმარისი უნდა ყოფილიყო, რათა ტრიფონას გაეგო, ვის, სად, როდის და როგორ უნდა შეხვედროდა.

მაიორის ვარაუდით შუაღამის სამ საათზე მისული უცნაური სტუმარი ტრიფონას დიდი-დიდი ათიოდე წუთი გაეჩერებინა შინ, მით უფრო, როგორც საგანგებოდ დაარიგეს მევლუდი, სტუმრის ენა მასპინძელმა არ იცოდა და მასპინძლისა—სტუმარმა. ეგეც არ იყოს, რა გარანტია უნდა ჰქონოდა ტრიფონას, რომ საზღვარზე გადმოპარულ შიკრიკს მესაზღვრეები არ ედგნენ კვალში და წუთი წუთზე მის სახლს არ მოადგებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ძაღლებისათვის კვალის არევის მიზნით ბიჭს სულ წყალ-წყალ ევლო. მაინც, ტრიფონას მხრივ ყველაზე ჭკვიანური ის იქნებოდა, ბიჭი უმალვე გამოეტუმრებინა უკან. უკან მობრუნებული მევლუდი კი, პირობისამებრ, ისევ საგუშაგოზე უნდა მოსულიყო.

მაგრამ მაიორის კარაუდი არ გამართლდა. აგერ, მეორე დღე იწურება, მევლუდი კი არა და არ ჩანს. ამაღამაც თუ არ გამოჩნდა...

ჰო, მართლა, ამაღამ „ორიონის“ მორიგი შეკრება გვაქვს. ჩემი წასვლის დროა, თუ გამიშვა მამაჩემმა.

ჩაშლილი „ორიონი“

„არ გაუშვას“ ციხის ნანგრევები დღეს, ალბათ, მხოლოდ წარმოდგენასღა უქმნიან მნახველს იმაზე, თუ რა დიდებული სანახავი უნდა ყოფილიყო ერთ დროს ამ მაღალი მთის წვერზე ზვიადად წამომართული ციხესიმაგრე, რომელსაც მხოლოდ ერთი მხრიდან — სოფლისაკენ დაშვებული დამრეცი ფერდობით თუ მიუდგები კაცი. ალბათ, მხოლოდ ამ მხრივ თუ სჭირდებოდა ციხეს დაცვა, თორემ სხვა მხრივ სრულიად მიუვალი უნდა ყოფილიყო მისი ციცაბო, კლდოვან ფერდობებზე ჩადუღაბებული სქელი კედელი.

— აბა, ბიჭი ხარ და ერთი კენჭი მოაგდებინე კედლიდან! — ვეუბნები მერაბს.

— ეტყობა, მართლა კვერცხის ცილას ურევდნენ, თორემ მარტო კირი ასეთ სიმაგრეს როგორ მისცემდა! — ამბობს ხავსმოკიდებულ კედლის ნანგრევებთან ლოდზე ჩამომჯდარი მერაბი.

— წარმოიდგინე, რომ ჩვენ ის თოფ-მუზარადში ჩამჯდარი ძველი მეციხოვნეები ვართ...

— მე ასისთაობაზე ნაკლებ ყაბულს არა ვარ!

— კაი, ბატონო, ჩათვალე, რომ ასისთაობის სიგელი ჯიბეში გიდევს, — ვეუბნები სიცილით.

— ახლა ჰოო! — იცინის მერაბიც.

— ჩვენი ციხესიმაგრე ალყაშემორტყმულია. მესამე თვე იწურება, მაგრამ მტერი არ აპირებს ალყის მოხსნას. რისი იმედი აქვთ? ციხესიმაგრის პირდაპირი იერიშით აღების ყოველი ცდა მათი მარცხით დამთავრდა. დიდძალი ზარალიც ნახეს, თუმცა ჩვენი ციხის გარნიზონს მტრის იერიშების მოგერიება უმნიშვნელო მსხვერპლის ფასად დაუჯდა. მტერმა აიკლო და ააწიოკა ახლომახლო სოფლები, დასანგრევი დაანგრია, გადასაწვავი გადაწვა, წასაღები წაიღო, ახლა კი მათი მოალყე ლაშქარი აგერ, იქ, ქვემოთაა დაბანაკებული. მესამე თვე იწურება, ალყის მოხსნას კი ჯერ არ აპირებენ. როგორ ფიქრობ, ასისთავო, რისი იმედი აქვთ?

— შიმშილითა და წყურვილით გატანჯული გარნიზონი დღეს თუ ხვალ თეთრ ბაირაღს გამოფენს! — უყოყმანოდ აცხადებს მერაბი და ირონიული ღიმილით უმატებს: — ან იქნებ დღეს-ხვალ რომელიმე იუდამაც წამოყოს თავი და ციხე შიგნიდან გატყდეს...

— აბა ეგაა გამორიცხული... რაც შეეხება შიმშილს და წყურვილს, როგორ ფიქრობ, რომლის იმედი უფრო მეტადა აქვს მტერს?

— ალბათ, უფრო წყურვილისა... — მხრებს იჩეჩს მერაბი, — წყურვილს დიდხანს ვერ გაუძლებს კაცი!

— მაგრამ მეციხოვნეებსა და ციხეში შემოხიზნულ მოსახლეობას ცივ-ცივი წყალი არასოდეს მოაკლდებოდა, რადგან აი, ეს ორმო, ახლა რომ ქვა-ღორღითა და ლოდებითაა ამოქოლილი, მაშინ ჩვენი ხსნისა და გადარჩენის უმთავრესი იმედი იქნებოდა, — აქედან წყალს ვღებულობდით ციხესიმაგრეში.

— ალექსანდრე ხელმძღვანელის ვარაუდით, რაკი გვირაბი ჩუმალა ხევთან არსად გამოდის, აქედან კარგა შორს, ტყეში გამომდინარე რომელიმე წყაროსთან უნდა ამოდიოდეს, — ამბობს მერაბი. — თურმე აქ მიწისქვეშეთი ასეთი დარნებითაა სულ დაქსელილი. ომიანობის დროს აწიოკებული მოსახლეობა თურმე მიწისქვეშ აფარებდა თავს. — მერაბი დგება, ყინწგადაგდებით ოთხივ კუთხივ ათვალიერებს ცის ტატნობს და სინანულით აქნევს თავს: — მაინც რა უცებ წამოვიდა ეს ოხერი ღრუბელი, ჰა?

ახლა უკვე ცხადია, რომ ჩვენი „ორიონის“ მეცადინეობა აღარ შედგება. წეღან შეგინდებამდე, სკოლის ეზოს რომ გავცქეროდით „დურბინდით“, ვხედავდი, როგორ მოიყარა თავი რამდენიმე „ორიონელმა“, მაგრამ რაკიღა ასეთი ღრუბელი წამოვიდა, ალექსანდრე ხელმძღვანელი აღარ გამოჩენილა და ბავშვებიც მალე მიმოიფანტნენ.

დასასრული. იხ. „პიონერი“ 12, 1, 2, 3.

იქნებ ასეც სჯობდა. საგუშაგოდან ისე წამოვედი, რომ მამაჩემი ვერ ვნახე. მითხრეს, მეზობელ საგუშაგოზეა წასულიო. ეს პირველი შემთხვევაა, დაუკითხავად და უნებართვოდ რომ წამოვედი. შინ, მაგიდაზე, წერილი კი დავუტოვე, მაგრამ ვითომ ჩამითვლის საპატიოდ? ვიდრე სულ არ ჩამობნელებულა, სჯობს ახლავე დავადგე გზას, იქნებ მამას ჩემი წერილი ჯერ არც უნახავს, იქნებ ჯერ არ მოვუკითხავარ.

— წავედით! — ვეუბნები მერაბს.

პირდაპირ შუა სასაფლაოზე დაქნილ ბილიკს დავადექი. ვატყობ, მერაბს მაინცდამაინც არ ეამა ჩემი არჩევანი, რადგან ახლა სწორედ ის დროა, შემგლისფერებას რომ ეტყვიან; დრო თითქოს დღისა და ღამის გამყოფელ ხაზზე ასკინკილას თამაშობს. საგნები თანდათანობით კარგავენ კონტურებს და ხდება მათი სასწაულებრივი გარდაქმნა რქიან ქაჯებად და ოქროსთმიან ალებად, დევებად და ტყისკაცებად... იქნებ ამიტომაც არის, რომ მერაბი, საერთოდ სიტყვაძუნწი და გულჩახვეული, ახლა გაუთავებლად ყვება რაღაცას, მაგრამ მისი ლაპარაკი ჩემამდე არ აღწევს, რადგან ჩემი ფიქრი ახლა იმ სახლსა და ეზო-ყურეს დასტრიალებს, რომელსაც ჩვენ ვუახლოვდებით.

ნეტავ რა ხდება ახლა ტრიფონა ლაბაძის სახლში? რა ამბები ტრიალებს იმ კედლებს მიღმა? სად არის მევლუდი? წეღან აქეთ რომ ამოვიარე, ცალი თვალით მაშინაც ბევრი ვეძებე ტრიფონას კარ-მიდამო, თუმცა კი გზიდან ბევრს ვერაფერს დაზვერავ კაცი: მთელი ეზო-ყურე ქვიტკირის მაღალ გალავანშია ჩამჯდარი. სახლიც ჭიშკრიდან კარგა მოშორებით, ეზოს სიღრმეში დგას. ალბათ, ამიტომაც ვერსად ვერავინ დავლანდე.

ამ ფიქრში გართულმა სასაფლაოს ბილიკიც ჩამოვლიე. ლაბაძეებიხ ჭიშკრამდე რაღაც ასიოდე ნაბიჯიღა რჩებოდა. და უცებ ჭიშკარზე ატუზული ადამიანის ლანდი შევნიშნე. ლანდი რკინის ჭიშკარს გადაევლო და გაუჩინარდა; ეს, როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაში მოხდა, მაგრამ ფანჯრიდან ვამომკრთალ სუსტ შუქზე მაინც გავარჩიე ჯარისკაცის ფიგურა. განსაკუთრებით ქუდი მომხვდა თვალში.

„ოთარია! მაინც მოვიდა!“ — გავიფიქრე გაოცებულმა და ვიგრძენი, რომ ამ აღმოჩენამ უფრო შემაშინა, ვიდრე გამახარა.

ნეტავ მერაბმა თუ შენიშნა რამე? მაგრამ რომ არაფერი ეტყობა?!

— არ მითქვამს სწორად? — ჩაძიებით მეკითხება რაღაცაზე.

— სწორია, აბა რა! — მივუგებ ანგარიშმიუცემლად.

— ჰოდა, ეწყინა, ძმაო!

— ცივი წყალი დალიოს! — არ ვიცი კი, ვინ უნდა დალიოს. რომ აღარ დაადგა საშველი ამის გაჩუმებას!..

აი, ტრიფონას ჭიშკარიც. არც კი ვიცი, რატომ და რისთვის, მაგრამ ვითომც შემთხვევით მივაწექი პატარა კარს. ჩემდა გასაოცრად კარმა ოდნავ გაიჭრიალა. აი, სეირი თუ გინდა! კარი ღია ყოფილა და რაღას ებღოტიალებოდა ზემოდან ეგ დალოცვილი! გაესინჯა წინასწარ!

ამ ფიქრებმა წამიერად გამიელვეს თავში და შენელებულ ნაბიჯს ავუჩქარე.

— არ თქვა ახლა, ისევ გოგიტასთან წავალ ღამის გასათევადო, თორემ სამუდამოდ დაგკარგავ, იცოდე! — მეუბნება მერაბი.

— არა, მერაბ, დიდი მადლობა, მაგრამ საგუშაგოზე უნდა დავბრუნდე, მამაჩემმა არც კი...

— არ გადამრიო ახლა! — სიტყვის დამთავრებას არ მაცლის მერაბი, მკლავში ხელს მკიდებს და მარცხნივ მექაჩება, თავისი ორღობისაკენ.

— ვერ წამოვალ! — ვამბობ, რაც შეიძლება, მტკიცედ და გადაწყვეტით.

— ვერა ხედავ, უკვე დაღამდა? არაფრით არ გაგიშვებ!

— მამაჩემმა არ იცის, წამოსული რომ ვარ, აუცილებლად უნდა წავიდე!

ახლა კი შემიშვა ხელი.

— კარგი, გზამდე მაინც გადაგაცილებ, აგერ, მგონი, რაღაც მანქანაც დგას იქ, იქნებ თქვენებისაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან მართლაც მოჩანს გზაზე მდგომი რაღაც მანქანა.

— კარგი, მაგრე იყოს! — ვეთანხმები მერაბს.

ამ ჯაჯგურ-ჯაჯგურში ტრიფონას გალავანსაც ჩავცდენილვართ.

უცებ ზურგს უკან, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც გალავნის კედლები კუთხეს ჭრავენ, ხმადაბლა მეძახის ვიღაც:

— თამაზ, მოიცადე...

„ოთარი! ეს ხომ ოთარის ხმაა! ნუთუ მომეყურა?“

მაგრამ ძახილი განმეორდა:

— მოდი აქ, ვერ მიცანი, ბიჭო!

რა თქმა უნდა, ოთარია! მაშ ის ვინღა იყო? ოთარი იქ, ოთარი აქ, — არაფერი არ მესმის!

დრო აღარ იმეძინა

— მართლა ჩემს წასაყვანად. გამოგიშვა მამაჩემმა? — ჩურჩულით ვკითხე ოთარს, როცა მერაბი, როგორც იქნა, დაგვემშვიდობა და მარტოდ დარჩენილნი იქვე კედელთან ბროწეულის ბუჩქებს ამოვეფარეთ (მერაბს ვუთხარით, ასე, ტყე-ტყე ავალთ მოკლეზეო). — გამოტყდი, რომ მერაბის გასაგონად თქვი ასე...

— მართალია... — აღიარა ოთარმა, — შენს შესახებ არაფერი უთქვამს მაიორს, ალბათ, შენი წერილი ჯერ არ ჰქონდა ნანახი...

— არ უნდა წამოვსულიყავი დაუკითხავად, — ვთქვი გულწრფელი სინანულით, თუმცა მაშინვე თავის მართლებასაც მოვყევი, — რა ვიცოდი, თუ ასეთი ღრუბელი წამოვიდოდა და მეცადინეობა ჩაგვეშლებოდა.... გაცდენა კი არაფრით არ მინდოდა. დიდი ხანია მოხვედი?

— არც ისე, — თქვა ოთარმა. — მოსვლისთანავე თქვენს ლაპარაკს მოვკარი ყური და შევიცადე, რას გადაწყვეტდი. როცა გავიგონე, მარტო აპირებდი წასვლას, გულმა აღარ გამიძლო და დაგიძახე. ვიფიქრე, ცოტას მოვაცდევინებ და ერთად დავბრუნდებით-მეთქი შინ.

— მაგის გულისათვის გადმოხტი უკანვე?! — ვუთხარი სიცილით.

— როგორ თუ გადმოვხტი!.. საიდან, როდის!.. — გაოცებით ჩამეკითხა ოთარი.

— ახლა კი გავგიჟდები ნაღდად! — კინაღამ ხმამაღლა წამოვიძახე. — აბა, ათიოდე წუთის წინ ტრიფონას ჭიშკარზე რომ ჯარისკაცი გადახტა, შენ არ იყავი?!

— მართლა ხომ არ გაგიჟდი, რა ვქნა! რაზ მოგეჩვენა!

— არ გეხუმრები, არც არაფერი მომჩვენებია. მართლა გადახტა წეღან ვიღაც ჯარისკაცი! საოცარი ის არის, რომ მერე, ჭიშკარი რომ მოვსინჯე, პატარა კარი ღია აღმოჩნდა, ის კი ზემოდან გადახტა!

— საოცარია! არასოდეს ღიად არ სტოვებენ ჭიშკარს... ტრიფონამ, რაც მე სიარული დავიწყე მაგათსა, ელექტროზარი დააყენა. სამი მოკლე სიგნალია ჩვენი პაროლი. აქ რაღაც სხვა ამბავია! წავედი... აქედან ფეხი არ მოიცვალო, ვეცდები, მალე გამოვიდე...

ოთარი საფრიდან გამოვიდა და გალავნის კედელს ფეხაჩქარებით შეჰყვა. მალე ჭიშკრის ჭრიალიც გავიგონე.

ერთხანს გასუსული ვსხედვარ ბროწეულებში. ათასი ფიქრი ერთად მიტრიალებს გონებაში და არაფერზე კი არ ვფიქრობ. რაღაც ცუდს მიგრძნობს გული, რა გამაჩერებს ასე. ანგარიშმიუცემლად ვდგები დაბნეული და გაოგნებული, მეორე წუთს კი უკვე ჭიშკართან ვდგავარ. კარის ღრიჭოში თავი შევყავი და გაფაციცებით ვზვერავ ჩაბნელებულ ეზოს. მხოლოდ ზემო სართულზე ანთია შუქი. ქვემო სართულზე კი კუთხის ფანჯარას, ეტყობა, კაი სქელი ფარდა აქვს ჩამოფარებული, თუმცა მაინც იგრძნობა, რომ იქაც ანთია ნათურა.

ოთარი უკვე კიბის ზედა ბაქანზე დგას და კარზე აკაკუნებს ჯერ ნელა, მოზომილად, მერე თანდათან უმატებს. ბოლოს კიბის მოაჯირს გადააწვა, განათებულ ფანჯარას მისწვდა და ახლა ფანჯრის მინაზე აკაკუნებს. მაგრამ, როგორც ჩანს, უშედეგოდ.

უეცრად ზურგს უკან ფეხის ხმა მომესმის. ჭიშკარს ვშორდები და ჩაბნელებულ ორღობეს გავცქერი. ორი კაცი მოაბიჯებს აქეთ. მოვეფარო რამეს? ვინ არიან, სად მიდიან... სჯობს ისევ ჭიშკარს მივეფარო, ვიდრე აივლიან...

მაგრამ ნაბიჯის გადადგმა და ჩემი ადგილზე გაქვავება ერთი იყო.

— სდექ! ვინ არის მანდ! — მომესმა მკაცრი შეძახილი.

ეს ხომ ჩვენი ზემდეგია! წამით ხელის ელექტროფარნის ძლიერმა შუქმა მომჭრა თვალი.

— თამაზ?! შენ აქ რას აკეთებ! — წამოიძახა უკვე მოახლოებულმა ზემდეგმა ბელენკომ.

ახლა კი მის გვერდით მომავალი ავტომატიანი ჯარისკაციც ვიცანი. ეს ანატოლი კრავცოვია.

ისე დავიბენი, კრინტის დაძვრა გამიჭირდა.

უცებ ჭიშკარმა გაიჭრიალა და იქიდან ოთარი გამოვიდა. აბა, ოთარი დაიბნა ზემდეგის დანახვაზე, თორემ მე რა მიჭირს. სამაგიეროდ, ზემდეგს, როგორც მომეჩვენა, სულ არ გაჰკვირვებია უმცროსი სერჟანტის დანახვა.

— აი, თურმე სად დაძვრებით, ამხანაგო უმცროსო სერჟანტო! მშვენიერ მაგალითს აძლევთ ხელქვეითებს, ვერაფერს იტყვის კაცი! — შეაგება ზემდეგმა ოთარს.

— ამხანაგო ზემდეგო, ნება მომეცით მოგახსენოთ... — წამოიწყო ოთარმა.

— არ არის საჭირო, — მკაცრად მოჭრა ზემდეგმა, — თქვენ დაპატიმრებული ხართ! კრავცოვ! წაიყვანეთ მანქანისაკენ!

შემეცოდა ანატოლი კრავცოვი. ზანტად გადმოიღო

ავთანდილ მეგრელიშვილი

ჯაჭვაჭვაჭული

დათბა, ცამ გული გვაჩვენა,
ბარში მზემ თოვლი მოლია.
ყანებს ჯეჯილი ამშვენებს,
მინდვრებს — ხასხასა მოლია.

ააფოფინა რტოები, —
ქარმა დაქროლა ზენამა,
სმენა და გული დაატკბო
ჩიტების ლაღმა ენამა.

მდინარეს გული აემღვრა,
უფრო და უფრო ზვირთდება...
ისედაც კოხტა მამული
პატარძალივით ირთვება.

ხეებზე თითო-ოროლა
ყვავილმა სწრაფად იასა.
ისრად ქცეული ტოროლა
უგალობს მზეს და იასა...

ავტომატი და ოთარს ზურგიდან მიუდგა სამიოდე ნაბიჯის დაშორებით.

— ჯარისკაცი ბასილაშვილი სადღაა?!—იკითხა ზემდეგმა.

მე და ოთარმა ერთმანეთს გადავხედეთ.

— მე შენ გეკითხები, ამხანაგო უმცროსო სერჟანტო! — ზემდეგი სულ ახლოს მივიდა ოთართან და სახეში შეაცქერდა.

— ამხანაგო ზემდეგო, — ხმადაბლა, მაგრამ მტკიცე ხმით დაიწყო ოთარმა, — საჭიროდ მიმაჩნია გაგაფრთხილოთ, რომ აქ ეჭვმიტანილი პიროვნება ცხოვრობს. მე ეს ორი თვეა, და ახლაც, ამ წუთში, მაიორ ბეროშვილის სპეციალურ დავალებას ვასრულებ...

— ხუმარაც ყოფილხართ, ამხანაგო უმცროსო სერჟანტო! ძვირად დაგისვამთ ჩემს ასეთ აგდებას, იცოდეთ! — შეაწყვეტინა ზემდეგმა.



— მზად ვარ პასუხი ვაგო ჩემს ყოველ ქმედებაზე! — მტკიცედ თქვა ოთარმა. უსასრულოდ გრძელი [illegible] წუთიერი დუმილი. ზემდეგი, ეტყობა, რაღაცას ფიქრობდა, რაღაცას სწონიდა და ყოყმანობდა.

— რაც შეეხება ჯარისკაც ბასილაშვილს, არ მესმის, რა შუაშია აქ ბასილაშვილი?! — დაუმატა ოთარმა.

— საოცარია ღმერთმანი, — ახლა კი საგონებელში ჩავარდნილი კაცის ხმაზე ჩაილაპარაკა ზემდეგმა და ერთბაშად შეიცვალა ოფიციალური ტონი, — იძულებული ვარ დაგიჯეროთ, ხუროშვილო! შვებულებიდან მე დღეს დავბრუნდი. ღილასვე უფროსი ლეიტენანტისაგან ნაწილის მორიგეობა ჩავიბარე, — თანდათან მთლად ჩაუწია ხმას ზემდეგმა, — ვიცი მხოლოდ ის, რომ გუშინწინ დილით ვიღაც ბიჭი დაგიჭერიათ, იქიდან გადმოსული, და იმავე ღამეს უკანვე გაგიშვიათ. ეს ამბავი პირველად მესმის. როგორ, ტრიფონა ლაბაძეა ეჭვმიტანილი?

— სწორედ ასეა, ამხანაგო ზემდეგო! — მიუგო ოთარმა.

— ეს ეჭვია, თუ... — ჩაეძია ბელენკო.

— აქამდე ეჭვი იყო, ახლა კი უეჭველია! — თქვა ოთარმა.

— ერიჰაა! მაშ, ბასილაშვილის საქმე... — უფრო შეშფოთდა ზემდეგი, — მე იგი ამ ოციოდე წუთის წინ სწორედ ამ სახლის დასაზვერად გამოვგზავნე, რათა დაედგინა, ნამდვილად იმყოფებოდა თუ არა ხუროშვილი ტყისმცველის ბინაში. ჩვენ ქვემოთ, მანქანაში ველოდებოდით. თუ ეს ეჭვი დადასტურდებოდა, დანაშაულის ადგილზევე უნდა აგვეყვანეთ პატიმრობაში... უბრალოდ კი ხმაურის ატეხვა, ცხადია, არ ივარგებდა...

„მაინც შეუსრულა ოთარს თავისი მუქარა!“ — ახლა კი მწარედ ვინანე, რომ ოთარი არ გავაფრთხილე მაშინვე, რადგან შემეშინდა, უარესად გადაეკიდებიან ერთმანეთს-მეთქი და, ეგეც არ იყოს, ნოდარმა ხომ ყველაფერი ხუმრობაში გაატარა!..

— დაყოვნების დრო აღარაა, ამხანაგო ზემდეგო! — აღელვებით წამოიძახა ოთარმა, — სახლის ყველა ოთახი გამოკეტილია. ნოდარ ბასილაშვილი უკვალოდ გაქრა! საჭიროა ახლავე მივიღოთ რაიმე ზომები, თუ უკვე გვიან არ არის! შევტეხოთ კარი და ვნახოთ, რა მოხდა ან რა ხდება იქ!

— მაიორის სანქციის გარეშე?.. — შეყოყმანდა ზემდეგი.

— ახლა ყოველი წუთი ძვირფასია! — შესძახა ოთარმა.

— თამაზ, ახლავე გაიქეცი მანქანასთან. იქ ზავილოხინია. დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს საგუშაგოს და მოახსენოს მაიორს საქმის ვითარება. საჭიროა განგაშის გამოცხადება! ჩვენ კი აქ ვიმოქმედებთ. აბა, სწრაფად! — გასცა განკარგულება ზემდეგმა.

მე მაშინვე მოვწყდი ადგილს და თავდაღმართში დავეშვი.

აგერ, სიბნელეში სულ ახლოს და ახლოს კიაფობენ წითლად მანქანის შუქფარები.

— სდექ! ვინ მოდის?! — შემაგება ზავილოხინმა, როცა მანქანას ოციოდე მეტრზე მივუახლოვდი.

— თავისიანი! — გავძახე ზავილოხინს და ყოველი შემთხვევისათვის დავუმატე: — თამაზი ვარ, ვასია, თამაზი! ზემდეგმა გამომგზავნა!

ის იყო მანქანაში შევხტი, ზავილოხინს ქაქანით ავუხსენი საქმის ვითარება და ვასიამ უკვე მიკროფონიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. 917

მოიმარჯვა, რომ ღამის უშფოთველ მყუდროებაში უეცრად სროლის ხმა გაისმა...

როგორც ჩანს, ოპერაცია „ავაზა“ მართლა დაიწყო!

ოპერაცია „ავაზა“

ნოდარის გადარჩენის იმედი დიდხანს არ იყო. დღეს მამაჩემი გახარებული დაბრუნდა ქალაქიდან. ნოდარი უკვე კარგადაა თურმე, იმდენად მოიკეთა და მოღონიერდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელი გახდა მისთვის ჩვენების ჩამორთმევა. ანდრო ფერაძეს რა უჭირს, მსუბუქად იყო დაჭრილი და უკვე გამოეწერა.

— მაინც რა უთქვამს ნოდარს, არის რამე ახალი? — ვკითხე მამას.

— ნოდარის დაკითხვამ მხოლოდ და მხოლოდ დაადასტურა ტრიფონას და ირინას ჩვენებები, — მიპასუხა მამამ.

...იმ შუაღამისას, მეელუდი რომ მისდგომია კარზე, ტრიფონა ჯერ ეჭვს შეუპყრია, მაგრამ ცალკე იმან, რომ ბიჭს თურმე ამკარად ეტყობოდა კლდე-ღრე და წყალ-წყალ ხეტიალის კვალი, ცალკე მისმა ჩაცმულობამ, ცალკე თურქულმა ენამ და ცალკე შარვლის საქამრეში საგანგებოდ ჩაკერილმა პატარა ბარათმა ბოლოს მაინც დაარწმუნა, რომ ბიჭი ნამდვილად „იქითა მხრიდან“ უნდა ყოფილიყო. როცა იმ ბარათიდან შეიტყო, თუ რას თხოულობდნენ მისგან, ბიჭის მისია დამთავრებულად ჩათვალა და გადაწყვიტა ახლავე გაესტუმრებინა უკან. მერე იფიქრა, ბარემ ორ დღეს არ გავუშვებ, იქნებ იმ კაცს რომ შევხვდები, რაიმე მნიშვნელოვანის დაბარება ან გატანება გახდეს საჭირო, ბარემ უკუკავშირისათვისაც გამოვიყენებო.

მაშინ რა იცოდა ტრიფონამ, რომ მის „საპატიო სტუმარს“ რკინიგზის სადგურში ჩვენი ჩეკისტები დახვდებოდნენ. ტრიფონას ისიც გადაეწყვიტა, რომ თავად გაეყვანა ბიჭი საზღვარზე მხოლოდ მისთვის ცნობილი მიწისქვეშა გვირაბით.

როგორც შემდეგში ამ გვირაბის გამოკვლევით გახდა ცნობილი, იგი „არ გაუშვას“ ციხის დიდი ხნის წინ ამოქოლილი ორმოთი იწყება და პირდაპირ ტრიფონას სახლის ქვეშ გადის თურმე, რის შემდეგ ორად იტოტება. ერთი ტოტი ათიოდე მეტრზევეა გადაკეტილი ვინ იცის როდის ჩამოშლილ-ჩამოზვავებული ქანებით. მეორე ტოტი კი კარგა შორს მიდის და თავის მხრივ აგრეთვე ორად იყოფა. თუ მარჯვენა დარანს გაჰყვები, პირდაპირ ტრიფონას „აგარაკის“ ახლოს, ერთი ფრიალო და ძნელად მისადგომი კლდის ძირში ამოჰყოფთ თავს. მეორე ტოტი უფრო შორს გრძელდება, სასიგნალო-საკონტროლო სისტემამდე მხოლოდ ასიოდე მეტრით ვერ აღწევს და აგრეთვე ძნელად მისადგომი სალი კლდის ძირში გამოდის.

მაინც, სად და როგორ უნდა დაემალა ბიჭი მთელი ორი დღე, გული რომ საგულეს ჰქონოდა?

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ტრიფონას წინაშე ასეთი პრობლემა არც კი წამოჭრილა.

დღეს დიდი და პატარა ტრიფონას ბუხარზე ლაპარაკობს, — სახლის პირველ სართულზე, კარგა მოზრდილი დარბაზის ერთ-ერთ კედელში ჩაშენებულ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ, აგურის მამაპაპურ ბუხარზე, რომელიც თურმე ამდენ საიდუმლოს იტევდა...

იმ საბედისწერო საღამოს, როცა ოთარმა, ზემდეგმა ბელენკომ და ჯარისკაცმა კრავცოვმა იმ დარბაზის კარი შეამტვრიეს და შიგნით შეცვივდნენ, მაშინვე თვალში ეცათ ბუხრის შორიახლოს იატაკზე გაშხლართული ნოდარი, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა...

ოთარი მაშინვე ნოდარს მივარდნია, ეგება კიდევ ცოცხალია და ვუშველო რამეო, ბელენკო და კრავცოვი კი დარბაზიდან ამავალი შიდა კიბით ზემო ოთახებში აცვივნულან.

— „ძაჯა ოდნავ შესამჩნევად უცემდა ნოდარს, — ჰყვებოდა შემდეგ ოთარი, — ჭრილობას მალე მივაგენი კეფის არეში. მივხვდი, რაღაც მძიმე საგანი გამეტებით ეთხლიშათ თავში. ფრთხილად გადმოვაჩოჩე რამდენიმე მეტრზე დარბაზის უახლოეს კუთხეში, რათა მოულოდნელად წამოჭრილი საფრთხის შემთხვევაში დარბაზი მთლიანად მხედველობის არეში მქონოდა და ამასთან, ზურგიდან კედლების წყალობით დაცული ვყოფილიყავი. გიმნასტურა გაჭიძრე, ჰერანგი შემოვიხიე და ნოდარს თავს ვუხვევდი, რომ უეცრად ბუხრიდან რაღაც ხმაური მომესმა. ნოდარს სახელდახელოდ შევუხვიე თავი, იარაღი მოვიმარჯვე და კედელ-კედელ გვერდიდან „მივეპარე“ ბუხარს. ვხედავ, ცალი მხრიდან ნელა, უხმაუროდ იხდება ბუხრის კერია, თუჯის ცეცხლსანთები ფილა თანდათან მთლიანად აიხადა. კიდევ უფრო ავეკარი კედელს, რადგან ვხედავ, რომ პისტოლეტიანი მსხვილი ხელი, რომელმაც ეს თუჯის მძიმე ფილა ახადა, ახლა ბუხრის წინ იატაკს ებჯინება და თანდათან ისე იძაბება, ეტყობა, ახლა პატრონის მძიმე ტანს ეზიდება ზევით. უკვე ვიცი, რომ ეს ტრიფონაა. ფეხის ერთი გაკვრა კმარა და ტრიფონა უიარაღოდ დარჩება. ყოველ შემთხვევაში, რომც ჰქონდეს, ვიდრე ასეთ უხერხულ პოზაში სხვა იარაღს მოიხმარს, მე ასჯერ დავასწრებ სროლას, მაგრამ სროლა არაფრით არ შეიძლება, ცოცხლად აყვანაა საჭირო. ეს მან მშვენივრად იცის. იარაღით მას ვერ შევაშინებ. არა, უნდა ვაცალო ამოსვლა, სხვა გზა არ არის!.. ამ ფიქრებმა წამიერად გამიელვეს თავში. მაშინ სიტუაციის ასეთი აწონ-დაწონის დრო სად იყო: ტრიფონამ ერთი მძლავრად ამოიქნია სხეული და თვალისდახამხამებაში ამოძვრა მაღლა. ბუხრიდან სანახევროდ არ იყო გამომძვრალი, რომ ვიგრძენი, უკვე თვალში მოხვდა ჩემი ჩექმები, მაშინვე გვერდზე ვადაქანდა, იატაკს მარცხენა ბეჭით გაეკრა და სიმძიმისაგან გათავისუფლებული პისტოლეტიანი მარჯვენა ხელი სასროლად შემართა. ეს ისეთი გასაოცარი სისწრაფით გააკეთა, რომ, თუმცა ყოველგვარი მოულოდნელობისათვის შინაგანად უკვე შემზადე-

ა. ბარბაქის სახ. საქ. სსრ
საბჭოთა წიგნი

ბული ვიყავი, კინაღამ დავაგვიანე, კინაღამ დამასწრო. არ მახსოვს, როგორ ამოვიღე მიზანში ხელი, რომელმაც იარაღი მომართა ჩემსკენ, ან საერთოდ დავუმიზნე კი? ალბათ დავუმიზნე, რადგან გასროლა და ხელიდან იარაღის გავარდნა ერთი იყო. პირდაპირ მაჯაში მომირტყამს თურმე. ასეთ მომენტში ეს იგივეა, ათიანში რომ ჩააჯენ ტყვიას. ახლა უკვე არც მარტოს გამიჭირდებოდა მისი გაკავება, მაგრამ ის იყო ვეძგერეთ ერთმანეთს, რომ ზემოდან კრავცოვი და ზემდეგი ბელენკო ჩამოცვივდნენ...“

სროლის ხმა რომ შემოგვესმა, ზავილოხინი რაციით საგუშაგოს უფროსს ელაპარაკებოდა. ზავილოხინმა მაშინვე დაქოჩა მანქანა და მეორე წუთსვე უკვე ლაბაძეების ჭიშკართან ვიყავით.

— მე მანქანას ვერ მივატოვებ. ნეტავ იქ რა ამბავია,— თქვა ვასიამ, რომელიც ყოველ წუთს ახალ რადიოკავშირს ელოდა საგუშაგოსთან.

მანქანიდან ჩამოვხტი და ჭიშკარში შევვარდი.

— ახლავე მობრუნდი! ფრთხილად, ბიჭო! — მომაყოლა ვასიამ.

სიფრთხილე რომ საჭირო იყო, მაგაზე რაღა სხვისი გაფრთხილება მჭირდებოდა, ყოველ წამს შეიძლებოდა ამტყდარიყო ტყვიების ზუზუნი.

მაგრამ ტრიფონას დარბაზს ისე მივაღწიე და ისე შევედი შიგნით, რომ გასროლა აღარ გამეორებულა.

შევედი და რას ვხედავ: „ჩემი ძმაკაცი“ ტრიფონა ქამრებით ხელ-ფეხ შეკოჭილი ზის კედელთან, ზურგით კედელს მიყრდნობილი, ოთარი თავზე ადგას და ეკითხება:

— სად არის შენი გოგო, ამოიღე ხმა!

— არ ვიცი! აკი გითხარი, არ დაბრუნებულა ქალაქიდან! — ამბობს ტრიფონა და, თვალებმოჭუტული, გამომწვევი ირონიული ღიმილით შესცქერის ოთარს.

„ნეტავ მევლუდის შესახებ თუ ჰკითხა რამე?“ — გავიფიქრე მე.

ზემდეგი ნოდარს დასტრიალებს თავს. ავტომატმომარჯვებული კრავცოვი ბუხართან ჩაჩოქილა და გაოცებული ჩაჰყურებს რაღაცას.

მე ნოდარს მივვარდი.

— ცოცხალია? — ვეკითხები ბელენკოს.

და თითქოს მე მეპასუხება, ყრუდ გმინავს ნოდარი.

— გაიქეცი ახლავე ზავილოხინთან,—მეუბნება ბელენკო, — ყველაფერი მოახსენოს საგუშაგოზე, რასაც აქ ხედავ! სწრაფად! — კარებთან ისევ დამეწია ზემდეგის ხმა: — მოიცა! ზავილოხინს უთხარი, მანქანა მოაყენოს ჭიშკართან. ნოდარი უნდა წავიყვანოთ საჩქაროდ!

— მანქანა ჭიშკართან დგას! — მივუგე მე და ისევ ზავილოხინს მივაშურე. რადიოკავშირზე ამჯერად უფროსი ლეიტენანტი კუბასოვი დაგვიხვდა.

ზავილოხინმა მოკლედ მოახსენა საქმის ვითარება.

— მაიორი და ლეიტენანტი ფერაძე უკვე წამოვიდნენ ერთი ოცეულით! — გვითხრა უფროსმა ლეიტენანტმა.

და, მართლაც, მალე მოისმა აღმართში ამომავალი მანქანის ღმუილი.

ტრიფონას ჭიშკართან კი უკვე დაიწყო თავმოყრა სროლით დაფეთებულმა ხალხმა.

— დაიხიეთ უკან! ეზოში არავინ შევიდეს! — გაჰყვიროდა ვასია.

ჯარისკაცებით სავსე მანქანა ჩვენი „ვილისის“ უკან გაჩერდა. მაიორი სწრაფად გადმოხტა კაბინიდან და წინ შეგებებული ზავილოხინის პატაკი ბოლომდე მოისმინა. მერე რამდენიმე მოკლე ბრძანება გასცა და ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცები პანტაპუნტით ჩამოცვივდნენ ძარიდან. ატყდა ჩექმების ბრაგაბრუგი. ზოგნი სალყოდ შემოეწყვნენ ლაბაძის კარ-მიდამოს, ზოგნი ლეიტენანტ ფერაძესთან ერთად ჭიშკარში შეცვივდნენ. მაიორი ამ ჯგუფს მიჰყვა, მაგრამ ჭიშკართან წამით შეაყენა ფეხი, თითქოს ახლაღა შემამჩნია და თითის დაქნევით მეუბნება:

— შენ ცალკე მოგელაპარაკები! ჩაჯექი ახლავე მანქანაში და ფეხი არ მოიცვალო!

„ვილისიდან“ მაშინღა გამოვძვერი, როცა სამმა ჯარისკაცმა გონს მოუსვლელი ნოდარი გამოიყვანა ჭიშკარში. უკან მამაჩემი და ზემდეგი ბელენკო მოჰყვებოდნენ.

— შესაძლოა ქალაქამდე ვერ ჩააღწიოს... — შეწუხებული ხმით ეუბნებოდა მამაჩემი ზემდეგს, — პირველ რიგში სერიოზული სასწრაფო დახმარება სჭირდება. ამიტომ ჩავლისას ჯერ არჩილა ექიმს აჩვენეთ, შემდეგ კი — ჰოსპიტალში! თამაზ, შენც ამათ გაჰყვები!..

●

ნოდარს მთლიანად დაუდასტურებია ტრიფონასა და ირინას ჩვენებები.

ირინა — თვალებბრიალა, ქერათმიანი ლამაზი ქალიშვილი!

ირინა რომ იქ, იმ იდუმალებით მოცულ „ქვესკნელში“ უნდა ყოფილიყო, ამაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, თუმცა ტრიფონა, ვიდრე წაიყვანდნენ, თურმე ჯიუტად გაიძახოდა, ჩემი ქალიშვილი ქალაქშია წასული და ჯერ არ დაბრუნებულაო.

იმ „ქვესკნელში“ ჩაშვების სურვილი ბევრს გამოუთქვამს, მაგრამ ლეიტენანტმა ანდრო ფერაძემ თურმე თავის თავზე აიღო ეს სარისკო საქმე. ცალ ხელში ავტომატი მოიმარჯვა, ჯიბეში ელექტროფარანი ჩაიდო და დაუყვა ბუხარში გამართული კიბის საფეხურებს...

— „ჩავათავე თუ არა ეს გრძელი კიბე, — ყვებოდა

შემდეგ ლეიტენანტი, — დავაპირე ელექტროფარნით გამენათებინა იქაურობა, მაგრამ გადავიფიქრე, მიწაზე გავწექი და გავინაბე. ალბათ, ერთი წუთი თუ გავიდა ამ სამარისებურ სიჩუმეში და უეცრად სადღაც შორიახლოს რაღაც გაფაჩუნდა. ცოტაც და დაელია ქალბატონს მოთმინება:

— მამა, რატომ ხმას არ იღებ? სად ხარ აქამდე?

ნელა დავიძარი იქით, საიდანაც ეს ხმა მომესმა. გავიარე კაი ათი ნაბიჯი წელში მოხრილმა. მარცხენა ხელი წინ მაქვს გაშვერილი, რომ არაფერს დავეჯახო, თითი კი, ყოველი შემთხვევისათვის, სასხლეტზე მიდევს.

უცებ სინათლის კაშკაშა შუქი დამეძგერა ზურგში და თითქმის იმავ წამს გავიგონე იგივე ხმა, ოღონდ ამჯერად მკაცრი და სუსხიანი:

— გააგდე ავტომატი! ხელები მაღლა! დრეზე, ოორემ გაგათავე!

რა უნდა მექნა? „მოვიდა შენი აღსასრული, ანდრო!“ ვუთხარი ჩემს თავს. შემობრუნებას და გასროლას, ცხადია, მე ვერ დავასწრებდი. ცივად გავაგდე ავტომატი და ხელები კისერზე შემოვიდე.



— იარე! — ბრძანა ტყისმცველის ქალიშვილმა, — შენ კარგი მძევალი იქნები ჩვენთვის!

„ჩვენთვისო! მეორე ვიღაა? რამდენი არიან? მევლუდი აქ არის! სხვა ვინ უნდა იყოს?!“ — ამ აღმოჩენამ ერთბაშად გონს მომაგო, ძალა და გამბედაობა დამიბრუნა და სწორედ ამ დროს ბიჭის ჩახველებაც მომესმა, თითქოს ფიქრები დამიმოწმა ამ ჩახველებით. მაშინვე მიწას დავასკდი და ავტომატს წავწვდი, მაგრამ იმავ წამს დამახალა ტყვია მარჯვენა მხარში. და მაშინვე გავიგონე ბიჭის ძახილი:

— მიშველე, ძია! ჩქარა!

ირინამ მყისვე სინათლე ჩააქრო. ამ კუნაპეტ სიბნელეში სულ ახლოს, სამიოდე ნაბიჯზე მესმის რაღაც ბღლარძუნის ხმა.

ავანთე ჩემი ელექტროფარანი და რას ვხედავ: მევლუდი მარჯვენა ხელში ჩაფრენია ირინას და იარაღის წართმევას ცდილობს. ანთებული ფარანი მიწაზე დაუტოვე და მარცხენა ხელით ავტომატი მოვიმარჯვე.

— გააგდე იარაღი ახლავე! ხელები მაღლა:

არ ვიცი, ჩემს ბრძანებას დაემორჩილა და ნებით დათმო იარაღი თუ მევლუდმა თავად მოახერხა მისი წართმევა. ოღონდ ეგ კია, მაშინვე მორჩილად ასწია ხელები. რევოლვერმომარჯვებულმა მევლუდმა უკან დაიხია რამდენიმე ნაბიჯზე და ირინა უცებ ჩვენს ალყაში აღმოჩნდა“...

ჰმ, ირინა! — ტყისმცველის ლამაზი ქალიშვილი.

სხვათა შორის, დღეს უკვე ყველამ იცის, რომ ირინა ტრიფონას ღვიძლი შვილი არ ყოფილა. იგი ამ ათი წლის წინათ უშვილებია ტრიფონას. მაშინ ირინა რომელიღაც სექტის უკვე აქტიური წევრი ყოფილა, სადაც იგი მორწმუნე დედას და ბებიას პატარაობიდანვე დაჰყავდათ თურმე. ეს მორწმუნე სექტანტი ქალი ტრიფონა ლაბაძის მეუღლე გამხდარა, ირინა კი — გერი.

ირინას თქმით, იმ საღამოს, ნოდარი რომ ლაბაძეების ჭიშკარს გადაახტა, ირინა ზემო სართულზე ყოფილა ასული, რაც, ბოლოს და ბოლოს, დიდი გაუფრთხილებლობა და დაუდევრობა აღმოჩნდა მისი მხრით, რადგან ტრიფონა ამ დროს მევლუდთან ყოფილა ჩასული და, ცხადია, ირინას „პოსტი“ არ უნდა მიეტოვებინა. (როგორც შემდეგ გაირკვა, საიდუმლო ტყვე, რომელთანაც ტრიფონა დღეში ორჯერ მაინც ჩადიოდა და სასმელ-საჭმელი ჩაჰქონდა, გვირაბის კედელში კარგა ღრმად გამოჭრილ და რკინის კარჩამობმულ „საპატიმროში“ ყოფილა ჩაკეტილი).

ჭიშკარზე გადახტომის შემდეგ ნოდარს თავად გადაუგდია კარის შიდა რაზა, ეზო გადაუჭრია და ქვედა სართულზე იმ ფარდაჩამოფარებულ ფანჯარას მისდგომია. მერე, რაკი კარი ღიად დახვედრია, იმ ბუხრიან დარბაზშიც შესულა. და თურმე სწორედ მაშინ „ამუშავდა“ ბუხრის საცეცხლური, ნოდარი უკვე გარეთ გამოსვლას რომ აპირებდა. გაოცებული ნოდარი ბუხარს წასდგომია და პირდაღებული უყურებს თურმე, როგორ იხდება ბუხრის კერია. მეტი აღარაფერი ახსოვს. ირინას მიერ კეფაში ძლიერად ნათხლეშმა ურდულმა იმავ წამს დააკარგვინა გონება და მოწყვეტით დაასკდა იატაკს.

ტრიფონას, სრულიად დარწმუნებულს, რომ მის სახლს უკვე ალყა არტყია, ირინა მაშინვე მიწისქვეშა სამალავში ჩაუგზავნია, უთქვამს, თუ მეც მალევე ჩამოვედი, ხომ კარგი, თუ არა და, იგულისხმე, რომ ან მომკლეს, ან შემიპყრეს და მაგ ყურბანასთან ერთად ეცადე სამშვიდობოს გახვიდეო.

მერე, ეზო რომ კარგად მიუზვერ-მოუზვერია, დარწმუნებულა, რომ ირგვლივ სრული სიმშვიდეა, არავითარი ალყა არ ჩანს და ეს წერასატანილი ჯარისკაცი, ეტყობა, სრულიად შემთხვევით შემოხეტებულა... მაშ, ჯერ გასაქცევად არ ყოფილა საქმე! საჭიროა მხოლოდ კვალის მოსპობა!

მაგრამ ვიდრე ამას ვაკეთებდა, მაინც საჭიროდ ჩაუთვლია გასაქცევად შემზადებულ ქვემოთ მომლოდინე ირინასთან ჩასვლა და საქმის არსში მისი გარკვევა.

ჰოდა, ჩავიდა კიდეც...

და ამოვიდა კიდეც, მაგრამ... ამჯერად „შავ ავაზას“ ვეგმები ჩაეშალა.



ნორჩ მეოჯახეთა წოვათები

* ცნობილი ვოლოგდური მაქმანის ქარგვის ხელოვნების აღორძინება უქცევიათ თავიანთ მიზნად თბილისის 78-ე სკოლის ხელმარჯვე გოგონებს.

თითო-ოროლა მიმდევარიღა შემორჩა ქსოვისა და ქარგვის იშვიათ ხალხურ ხელოვნებას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნორჩ მეოჯახეთა XII საქალაქო გამოფენა-კონკურსმა, რომელიც იანვარში თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საყოფაცხოვრებო ესთეტიკის კაბინეტის (გამგე ს. ჯეირანოვა) თაოსნობით მოეწყო და ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს მიეძღვნა.

გამოფენაში მონაწილეობდა თბილისის 80-მდე სკოლა, რუსთავის, გორის, ონის, თელავის, ჭიათურის, ქუთაისის, ახალციხის, მცხეთის პიონერთა სახლები, რომლებმაც ჭეშმარიტად მშვენიერი ნახელსაქმარი წარმოადგინეს.

საინტერესო კომპოზიციური და იდეური მთლიანობით გამოირჩევა რუსთაველ მოსწავლეთა პანო „მშვიდობა მსოფლიოს!“ ყურადღებას იპყრობს თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა მიერ დამზადებული აპლიკაციები. დინამიურობითა და პლასტიკურობით გვხიბლავს მაია ღვინერიას მგელი და ცაში აფრენილი თეთრი წეროები. პოეტურია თამარ ყალიჩავას აპლიკაციური პეიზაჟი — მთვარიანი ღამის ფონზე თეთრად ქათქათებენ წყალში ჩამდგარი ყანჩები.

ქართული ხალხური ზღაპრის — „ეშმაკის ლაგამის“ სიუჟეტს გვაცნობს 117-ე სკოლის მოსწავლეთა ნაქარგი პეიზაჟები და მხატვრული ტილოები. ნაქარგი ხაზის სისუფთავე და სიფაქიზე იმდენად თვალშისაცემია, რომ სურათები ფერადი ფანქრებით დახატულს უფრო ჰგავს, ვიდრე ამოქარგულს.

ლამაზია 128-ე სკოლელთა ნაქარგი ბალიშები. ეტყობა, ხის დამუშავებას კარგა ხნის ისტორია აქვს 35-ე საშუალო სკოლის ნორჩ მეოჯახეთა წრეში. ფაქიზი გემოვნებითაა ნაკეთები მძივები და სამკაულები (53-ე სკოლა), ტილოზე ნაქარგი ეროვნული სიუჟეტები (83-ე სკოლა). ეფექტურია „ბამის“ საკარნავალო კოსტიუმი — წითელ კაბაზე ახალი ქალაქების ადგილას აბდღვიალებული სინათლეები თითქოს თავისკენ გიხმობენ (108-ე სკოლა). შესანიშნავია 96-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნახელავი შრომის ტანსაცმლის მოდელები.



* „ვიეტნამელები“ — ასეთი ორიგინალური სიუჟეტის მქონე მაქმანს ყველგან როდი შეხვდებით.

გამოფენამ გაამართლა თავისი კეთილშობილური მიზანი და დიდებული საქმეც გააკეთა: აკი თავადვე გაანაცხადეს გარდაბნის რაიონული პი-

* ყველაზე სასიამოვნო, ალბათ, მაინც საყვარელი ზღაპრის გმირებთან შეხვედრაა...

ონერთა სახლის ნორჩმა მეოჯახეებმა — სართიჭალელი ოსტატებისაგან ვისწავლეთ ეს ხელობაო. ამიტომ არის, რომ ფერთა ასეთი გემოვნებიანი შეხამებითა და მაღალი ხელოვნებითაა მოქსოვილი მათი ხევსურული პაჭიჭები, ხელთათმანები, ქისები.

მოსწავლეები დაინტერესებულნი არიან ხალხური შემოქმედებით, ეროვნული ტანსაცმლის, ეროვნული ორნამენტების ხასიათით, ცდილობენ ამოიცნონ ისინი, შეინარჩუნონ, გაითავისონ. ეს ითქმის გორის პიონერთა სახლის მიერ წარმოდგენილ საგამოფენო ექსპონატებზედაც: საუცხოოდ ნაკერი ქართული კაბა, ჩოხა, ახალუხი, ყაბალახი... მათში მთელი თავიანთი მოწადინება, სითბო და სიყვარული ჩაუდვიათ ნორჩ გორელ მეოჯახეებს.

*** ბავშვის თვალით დანახული ყველაფერი ოპტიმისტურია...**



*** ერთ თაიგულად შეკრულ „სამ გრაციას“ დაგლა ჩამოაქვს მზე თითქოს...**

სახეების მრავალფეროვნებითა და ორნამენტულობით ყურადღებას იქცევს ონის პიონერთა სახლის აღსაზრდელის, ოლია ბერაშვილის „ხალიჩა“ და „ჩანთა“.

ბევრი კარგი საქმე გააკეთებინა გამოფენის მონაწილე პიონერებს საკუთარი წარმოსახვის რაიმე ფორმაში მოქცევის, გასაგნების სურვილმა, ყოველ მოზარდს აქვს თავისი ნატვრა, თავისი ოცნება, თავისებურად სჯერა ოცნებისა და თავისებურად მიილტვის მისი ხორცშესხმისათვის.

ამ დარბაზში თავმოყრილ ბავშვებს რომ ჰკითხოთ, რა გიყვართ ყველაზე მეტადო, — ოცნებაო, — მოგიგებენ. ეს მათ ნამუშევრებსაც ეტყობა. ოცნება მათთვის ტყის ჯადოსანი ფერიაა, ასე გემოვნებით რომ აზავებს ყველაფერ იმას, რასაც მათ სულში ჩალექილი და დამახსოვრებული ფერები და სახეები ქმნიან.

ნინო ხარაზიშვილი

მარგო თომაძე

წყაროსთან თეთრი ქვეგია

ამ პატარა წიგნის წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, მთელი საქართველო თავისი ტყეებითა და მდინარეებით, მთებითა და ვიწროებით ნაბიჯ-ნაბიჯ მოგევლოთ თითქოს. ილიას, ვაჟას, შოთას, თამარის, გალაკტიონის, გოგლას, მაიაკოვსკის სახელობის წყაროები... თავგატეხილას წყარო, ჭინკას წყარო, ხარხარა წყარო, უკუღმა წყარო... ყოველ მათგანს თავისი ისტორია აქვს, ადამიანივითაა თითოეული. თიანეთისაკენ აცურებულ გზასთან ცისფერი წყაროა, პატარა, სევდიანი. მის ნაპირთან სამი თეთრი ლოდი ამოუტანია გალაკტიონს. დაჯდებოდა თურმე ზედ, ფიქრიან თვალს წყაროს მიაპყრობდა.

ეს პატარა ლირიკული სურათები მშობლიური მხარის სიყვარულთან ერთად მრავალი, ლეგენდად ქცეული წყაროს დარდსა და სიხარულს გაზიარებთ, დარდსა და სიხარულს — ჭირნახული ქართველი კაცის სიხარულ-სიმძიმილიდან რომ იღებდა სათავეს.

წყარო ყოველთვის სიწმინდის, სისპეტაკის, უბიწოების ასოციაციას იწვევდა ქართველი კაცის სულში. ალბათ ამიტომაც მიდიოდნენ მასთან ასეთი განსხვავებული განცდით თაობები, მუხლმოდრეკილნი ეწაფებოდნენ მის სიწრფელესა და სიჯანსაღეს.

„ამ წყაროების გარდა მუხლი ვერავინ მომადრეკინა, ვერავინ წამომაჩოქაო“, — უბრძანებია დიდ ვაჟას.

იქნებ, თქვენც მუხლის მოდრეკა მოგესურვოთ, როცა თქვენი საყვარელი მწერალი ქალის, მარგო თომაძის ამ მშვენიერ წიგნს წაიკითხავთ.

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 4

„არაფერი
არ
ამაღლებს
პიროვნებას
ისე,
როგორც
აქტიური
ცხოვრებისეული
პოზიცია,
საზოგადოებრივი
მოვალეობისადმი
შეგნებული
დამოკიდებულება,
რომა
სიტყვისა
და
საქმის
ერთიანობა
ხდება
ქცევის
უფლებიური
ნორმა.“

ლ. ი. ბრეჟნევი

შენი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი ჟურნალის რედაქციის თანამშრომელი ესაუბრა დედაქალაქის ოქტომბრის რაიონის რამდენიმე სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელსა და პიონერებს. საუბრის მთავარი თემა იყო „პიონერის აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია“, რომელიც რამდენიმე ქვეთემას მოიცავდა: „ბრძოლა ფორმალიზმთან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან“, „კედლის გაზეთების მუშაობის ავ-კარგი“, „ბიჭების მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში“, „თვითანგარიში რაზმისა და რაზმეულის წინაშე“ და ა. შ.

ამ საუბარმა, რომელსაც პირობითად „მრგვალი მაგიდა“ ვუწოდეთ, პიონერულ ორგანიზაციათა მუშაობის ზოგი არსებითი ნაკლი გამოამზეურა. მაგალითად, ბევრს თურმე არ ესმის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის არსი, მოსწავლეთა ერთი ნაწილი გაურბის საზოგადოებრივ საქმიანობას, სხვები უფრთხიან და ერიდებიან კრიტიკას... მე-4 საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს, მაგალითად, კედლის გაზეთში ერთი წერილიც არ დაუწერია რაზმეულის მუშაობის შესახებ; 36-ე საშუალო სკოლის კედლის გაზეთის თებერვლის ნომერში სამადსამი წერილი იყო მოთავსებული, სულ — 60-მდე სტრიქონი; ასევე, 30-ე საშუალო სკოლის კედლის გაზეთის თებერვლის ნომერშიაც სამი წერილია, სულ — 50-მდე სტრიქონი. უმთავრესი კი ის არის, რომ ყველა მასალა ზოგადია და ერთი სიტყვითაც არ ეხმაურება სკოლის ცხოვრებას.

თუმცა... თუმცა თავად გაეცანით ჩვენს „მრგვალ მაგიდასთან“ გამართულ საუბარს. ერთად ვიფიქროთ, გავიაზროთ წაკითხული, საკუთარ გულშიც ჩავიხედოთ და მაშინ დასკვნების გამოტანაც არ გაგვიჭირდება.

ხათუნა დამჩიძე, 36-ე საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე:

— მთავარია, ასრულებდე ნაკისრ ვალდებულებას... თუმცა, გამოგიტყდებით, ზოგჯერ ისეთ რამესაც ვაკეთებ, რაც არავის დაუვალებია. მაგალითად, ამას წინათ დავწერე და კედლის გაზეთში გამოვაქვეყნე კრიტიკული წერილი კლასში მორიგეობის ჩაშლის გამო.

ნანა რუხაძე, მე-4 საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე:

— მე ასე ვფიქრობ: თუ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას ზუსტად ვასრულებ, ეს აქტიური ცხოვრებისეული პოზიციაა. ყველამ თავის საქმეს, თავის მოვალეობას უნდა მიხედოს.

გიორგი კერესელიძე, 23-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე:

— აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია მე ასე მესმის: არ შეიძლება შემოიფარგლო მარტო შენი მოვალეობით, არ შეიძლება საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა, საჭიროა რაღაც უფრო მეტი... ამას წინათ ასეთი ამბის მოწმე გავხდი: ორი ჩვენი მეექვსეკლასელი სხვასკოლელ ოქტომბრელს გადასდგომოდა წინ — ერთი ჩიტი მოგვეციო (სამი წიწკანა ესვა გალიაში). შემეცოდა საწყალი ბიჭი, ცხარე ცრემლით ტიროდა. რამდენიმე კაცმა ჩაიარა იქვე, დიდმაც, პატარამაც. არავინ გამოქომაგებია დაჩაგრულ ბავშვს...

სული ამიდუღდა და ჩავერიე...

დალი გიძინაშვილი, მე-4 საშ. სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი:

— პიონერს, რომელიც დავალებებს არ ასრულებს და სწავლაში მოიკოჭლებს, პასიურს ვეძახით. მაშასადამე, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზე მდგომად, ჩემი აზრით, ის პიონერი შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ზუსტად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. აი, მაგალითად, თუ ჩვენი გაზეთის რედაქტორს რამეს დაავალებ, უთუოდ გააკეთებს. თუ რომელიმე პიონერს ვეტყვით, ამა და ამ თემაზე წერილი დაწერეო, დაგვიწერს. რაც შეეხება ინიციატივას, ბავშვებს ამისთვის არა სცალიათ — უამრავი დრო მიაქვს სპორტს, ძუძიკას, კომკავშირის რაიკომის თუ პიონერთა სასახლის დავალებების შესრულებაზე ზრუნვას.

გიორგი ქვრივიშვილი, 30-ე საშ. სკოლის V კლასის მოსწავლე:

— მე ის მავალია, რომ კარგად ვისწავლო. თუ როგორმე ეს შევძელი, ეს, მე მგონი, აქტიური პოზიცია იქნება.

ნატო გერლიანი, 36-ე საშ. სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი:

— ყველაფერს ვერ ვასწრებ, ბავშვები ძალზე დაკავებულნი არიან. განსაკუთრებით ნაკლებად აქტიურობენ ბიჭები. ვერ მოვახერხეთ გაზეთის გარშემო კორესპონდენტთა აქტივის შემოკრება, წერილებს ძირითადად რედაქტორი წერს და მე ვუსწორებ. თუმცა ზოგჯერ სხვებსაც ვავალებთ... მძაფრ მამხილებელ წერილებს ვერიდებით, რადგან ბავშვები კრიტიკას ვერ იტანენ.

თამარ ლოსაბერიძე, 23-ე საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე, კედლის გაზეთ „ჩირაღდნის“ რედაქტორი:

— გაზეთში შემოვიღეთ რუბრიკა: „ვერ გაამართლეს“. დაუნდობლად ვკიცხავთ ყველას, ვინც დავალებებს გულგრილად ეკიდება, სულერთია, ვინც იქნება — ცალკეული პიონერი თუ მთელი რაზმი... ეფექტური ღონისძიება გამოგვივიდა.

გულიკო მურვანიძე, 23-ე საშ. სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი:

— მე მწამს, რომ აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ერთ-ერთი მაგალითის მიმცემი პიონერული კედლის გაზეთი უნდა იყოს. იანვრის ნომერში მძაფრი კრიტიკული მასალა გამოვაქვეყნეთ V² კლასის პიონერებზე. ისე ემწვავათ, რომ ვიღაცამ გახია კიდეც გაზეთი. დამნაშავე აღმოვაჩინეთ, გავკიცხეთ. ყველაფერი აღიარა და ბოდიში მოიხადა... მომავალშიც ასე განვაგრძობთ. კრიტიკის არ უნდა გვეშინოდეს.

ირინე გამყრელიძე, 30-ე საშ. სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი:

— ჩვენ კი გაზეთი ქმედით ორგანოდ ვერ გადავაქციეთ. არავის არ სურს კრიტიკული წერილის დაწერა — ამხანაგების წყენინებას ერიდებიან. უფრო საკუთარ თავზე, ექსკურსიებზე ან კლასის წარმატებაზე ლაპარაკობენ ხოლმე.

მალხაზ სოლომნიშვილი, 36-ე საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე:

— აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზე, მის რაობაზე არ დავფიქრებულვარ. პირადად ვცდილობ, შევასრულო დაკისრებული მოვალეობა, მაგრამ არ გამომდის. გაკვეთილებსა და მუსიკას თითქმის მთელი დრო მიაქვს. გარდა ამისა, ახლა სკოლის ხალხურ საკრავთა ანსამბლშიაც ვმეცადინეობ. რაზმეულის საქმეებისთვის სულ აღარ მრჩება დრო.

მერაბ თადუმაძე, მე-4 საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე:

— თუ ვინმე რამეს დამავალებს, შევასრულებ. მეტი რა ვქნა? სხვებთან ერთად ვაგროვებ ჯართს, მაკულატურას. რამე განსაკუთრებული, სხვებისაგან განსხვავებული დავალება არა მაქვს.

მაია მურაჩაშვილი, 36-ე საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე:

— აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია სხვათა დახმარებასაც გულისხმობს. აი, მაგალითად, ჩემთვის არავის დაუვალებია, თვითონ გადავწყვიტე, რომ მეცადინეობაში დავხმარებოდი შალვა ზაალიშვილს. ტელეფონით შევუთანხმდი მის დედას, მათთან სახლში მივდივარ ხოლმე და დედის თვალწინ ვმეცადინეობთ მე და შალვა. ახლა ივეტა კვირიკაშვილიც მეხმარება საკუთარი ინიციატივით.

ვახტანგ ნაბახტრეველი, 23-ე საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე:

— აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზე რომ დადგე, ჯერ შენი, პირადული ამბები უნდა გქონდეს მოგვარებული. თუ თავად არაფერი იცი, სხვას რა უნდა ასწავლო? თუ თვითონ მოუწესრიგებელი ხარ, სხვას როგორ მოუწოდებ წესრიგისაკენ?

ჩვენ, მე და ჩემი ამხანაგები, მთელი მონდომებით ვიბრძვით იმისათვის, რომ ყველა პიონერი ასრულებდეს მასზე დაკისრებულ საქმეს. გვყვანან ჯიუტებიც... ჯერ მათ არ დავასახელებ, შინაური საუბარი ვაკმარეთ და ახლა შედეგს ველოდებით. აკი ნათქვამია, მტყუანს კარამდე მიჰყეო... მერე ვნახოთ.

და აი, როცა დავინახავთ, რომ ესა თუ ის პიონერი წარმატებით ერთმევა თავს არა მარტო თავის მოვალეობას, არამედ ასევე წარმატებით სხვებსაც აქეზებს და ეხმარება, ამხანაგებს აანთებს და აიყოლიებს, აი, მხოლოდ ასეთ პიონერზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ იგი დგას აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზე.

ლადო ლომიძე, მე-4 საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე, სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა შტაბის უფროსი:

— ჩვენ საშეფო ურთიერთობა გვაქვს 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანასთან. იქ საკუთარი პიონერული საამქრო გვაქვს. ამ საამქროში ხშირად ნახავთ ჩვენს პიონერებს, რომლებიც პრაქტიკულად ეცნობიან და ითვისებენ სხვადასხვა რთულ მუშურ სპეციალობას. ამის შესახებ ჩვენი გაზეთიც წერდა... თუმცა მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა.

გიგო გვენცაძე, 30-ე საშ. სკოლის IV კლასის მოსწავლე, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე:

— ჩემი მუშაობით კმაყოფილი ვარ. რასაც მავალებენ, ვასრულებ.

ლევან მეტრეველი, 30-ე საშ. სკოლის VII კლასის მოსწავლე:

— არა მგონია, დავალების შესრულებით თავის გამოდება, მარტოოდენ პირადი მოვალეობის კეთილსინდისიერად განაღდება, პირადი „მე“-თი შემოფარგვლა აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციად ჩათვალოს. მე, მაგალითად, უსიტყვოდ გვერდით ვერ ჩავუვლი უსამართლობას და სხვასაც ვურჩევ, ასე მოიქცეს...

●

ბავშვებო! თქვენ ალბათ შენიშნეთ, რომ ჩვენი „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა შორის „აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის“ ცნების გაგებაში აზრთა საკმაო სხვადასხვაობაა.

ეს ცნება სწორად ესმით იმ პიონერებს, რომლებიც საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვის, მიღწეულით დაკმაყოფილების, მარტო პირადულზე ზრუნვის, მაამებლობის, კრიტიკის მიჩქმალვის, დუნე და უღიმღამო მუშაობის წინააღმდეგ გამოდიან. აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია გულისხმობს სწორედ მებრძოლ, პრინციპულ, შეუპოვარ, კრიტიკულ დამოკიდებულებას ყველაფრისადმი — როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენისადმი; იგი გულისხმობს არა მარტო ბეჯით სწავლასა და მუყაით შრომას, არამედ პიონერის აქტიურ და ინიციატივიან მონაწილეობას მანკიერ მოვლენათა მხილებაგანადგურებაში.

არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, დღენიადაგ ვიზრუნოთ, რომ ვაკეთოთ ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი — ამას გვასწავლიდა დიდი ლენინი.

ყველა თქვენთაგანის წინაშე ამჟამად სწორედ ასეთი ამოცანა დგას — პიონერულმა ორგანიზაციამ ყოველ პიონერში, ორგანიზაციის ყოველ წევრში, უფრო მეტიც — არაწევრებშიც კი — გამოიმუშაოს აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია!

1980 — ლენინური წელია. და თუ არა ახლა, მაშ როდისღა უნდა დაიკავოს ნორჩმა ლენინელმა აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია — ჩვენი წინსვლის, წარმატების, ახალ გამარჯვებათა საფუძველი და საწინდარი.

პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ნათელა ფაილოძე.

«ლენინელები» ვეკოცლევი იერიკვეკიჯ

კვირა დღე ჩვენი სიხარულია. დღის პირველ საათზე უკვე პიონერთა სასახლეში ვართ. თბილისის სხვადასხვა სკოლებიდან მოსული პიონერები და კომკავშირელი აქტივისტები დიდ ნათელ ოთახში ვხვდებით ერთმანეთს. თუ ამ დღეს პიონერთა საქალაქო შტაბში რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეები იკრიბებიან, ჩვენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის კაბინეტში თინა დეიდასთან ვიყრით ხოლმე თავს.

აქ ასე აგვიხსნეს: პიონერული აქტივი შრომისმოყვარეობით, ენთუზიაზმითა და საქმის სიყვარულით მარტო სკოლაში კი არა, სკოლის გარეთაც უნდა გამოირჩეოდესო, აქტიურად უნდა იყოს ჩართული პიონერთა სახლებსა და სასახლეებში, ნორჩ ნატურალისტთა თუ ტექნიკოსთა სადგურებში შექმნილი წრეებისა თუ არსებული კლუბების მუშაობაშიო. ჩვენც ვცდილობთ, ჩვენი სკოლა რესპუბლიკური სასახლის ერთ-ერთ კაბინეტში შექმნილი აქტივისტთა საბჭოს, „ლენინელის“ მუშაობაში წარმოვაჩინოთ.

პიონერთა სასახლეში პიონერ-ინსტრუქტორებს ამზადებენ. ჰოდა, ვეცდებით ყველაფერი გავაკეთოთ, რაოა პიონერ-ინსტრუქტორის მოწმობის მიღება შევძლოთ და სკოლაში ახალი საქმის მოთავენი გავხდეთ.

„ლენინელის“ წევრებს კიდევ იმიტომ მიგვიხარია სასახლისაკენ, რომ აქ თბილისის თითქმის ყველა სკოლის წარმომადგენლებს ვხვდებით. ასეთი შეხვედრები ყოველთვის საინტერესოა, ჩვენი საუბარი ეხება ლენინის სასკოლო ოთახების, კუთხეების, გალერეებისათვის ექსპონატების, სხვადასხვა დოკუმენტების შეკრება-შეგროვებას, საინტერესო ადამიანებთან, კომუნისტებთან შეხვედრებს.

...წლევანდელი წელი „ლენინელის“ წევრებმა ბელადის დაბადების 110-ე წლისთავს მივუძღვენით. საბჭოს წევრებმა მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციისათვის თემებიც დავამუშავეთ: „ასეთი იყო ბელადი“, „ლენინის სასკოლო ოთახი, მუზეუმი, გალერეა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ცენტრში“ და სხვ. გარდა ამისა, „ლენინელის“ წევრები ბევრს ვმოგზაურობთ, ვიყავით გორში, სადაც იქაური პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აქტივისტებმა მიგვიწვიეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

დიდი მეგობრობა გვაქვს თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პიონერულ აქტივთან; მათთან ერთად შევისწავლეთ ზემო ავჭალის ჭურის ქარხნის და თბილისის ელექტროტექნიკური ნებელი ქარხნის ისტორია; განზრახული გვაქვს დავუმეგობრდეთ ქუთაისის ლენინის სახელობის რაიონს.

„ლენინელის“ წევრებმა ბევრი რამ შევიტყვეთ, როცა კაბინეტის დახმარებით მოვძებნეთ ლენინის ორდენოსნები. შევხვდით ძველ და ახალ ყამირელებს, მათ ცხოვრებაზე მთელ ალბომს ვამზადებთ. ყამირელებთან თებერვალში გვქონდა შეხვედრა. ჩვენთან ერთად მის მომზადებაში მონაწილეობდნენ სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის კლუბ „სხივის“ წევრები.

ლენინური კვირეული, წლეულსაც ტრადიციისამებრ—გაზაფხულზე რომ ჩატარდა, ჩვენ გავხსენით. კვირეულის დღეებში ჩატარდა პიონერთა აქტივის საქალაქო შეკრება თემაზე: „ვსწავლობთ და ვცხოვრობთ ლენინურად“. მონაწილეობა მივიღეთ მიტინგ-მანიფესტაციაში: „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები“.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის მზადებამ ჩვენი სასახლის ყველა განყოფილების აქტივისტი გაგვაცნო. დავუმეგობრდით ნორჩ ტექნიკოსებს, ფიზიკოსებს, ასტრონომებს, ნატურალისტებს, ალპინისტებს, მოჭადრაკეებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს. ისინი ძალი-

აქტივისტები „ლენინელის“ მრგვალ მაგიდასთან შეიკრიბნენ.

ფოტო
ბ. სანაიასი

ან კარგი ბავშვები არიან. კვირეულის დროს საინტერესო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია მოვისმინეთ. „კაცი იყო და იქცა მნათობად, ქვეყნად რამდენი სითბო დატოვა“. ასევე დაუვიწყარია თეატრალიზებული მიტინგი: „ლენინის სახელი ხალხთა ძმობისა და მშვიდობის სიმბოლოა“.

ვესტუმრეთ გალის მე-4 საშუალო სკოლას. ეს სკოლა წლების მანძილზე მეგობრობს ულიანოვსკის პირველ სკოლასთან და საინტერესო მუშაობასაც ატარებს. ვიმოგზაურეთ ლენინგრადში; ვინახულეთ მისი ღირსშესანიშნაობანი, დავათვალიერეთ ერმიტაჟი, პეტრე-პავლეს ციხე; ყვავილები მივიტანეთ პისკარიოვის სასაფლაოზე, ვიყავით „ავრორაზე“. ლენინგრადის პიონერთა სასახლეში სამეჯლისო ცეკვებზე მიგვიწვიეს; ბევრი რამ საინტერესო მოვისმინეთ ნევის ქალაქის პიონერებისაგან.

საქალაქო საბჭო „ლენინელში“ გაერთიანებული არიან საუკეთესოთა შორის საუკეთესოები და სწავლაში წარჩინებული მოსწავლეები. მარტო ზეიმებსა და მოგზაურობებს როდი ვუნდებით, ამასთან ერთად ვმონაწილეობთ ლენინის თემაზე გამართულ სემინარებში, დაუსწრებლად ვმოგზაურობთ ლენინურ ადგილებში, ვეცნობით თბილისის სკოლების ლენინის სასკოლო მუზეუმებს, ოთახებს, კუთხეებს. განსაკუთრებით, მოგვეწონა თბილისის 77-ე და პირველი საშუალო სკოლების ლენინის სასკოლო მუზეუმები. საინტერესოა ამ სკოლების ისტორიის წრეების მუშაობა. პიონერები გაკვეთილების შემდეგ რჩებიან და საუბრობენ მსოფლიოს მოვლენებზე, სწავლობენ ისტორიულ დოკუმენტებს, ამუშავებენ სხვადასხვა თემას, ეცნობიან ჩვენი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს — პიონერული აქტივი ხომ ყველაფრის საქმის კურსში უნდა იყოს...

„ლენინელში“ ყველას თავისი სკოლის გამოცდილება მოაქვს. ეს მეგობრების თავისებური შეხვედრა-შეკრებაც არის ხოლმე.

წინ წელსაც საინტერესო პიონერული ზაფხული გველის: თინა დეიდა დაგვპირდა, „ლენინელის“ ყველა წევრი ექსკურსიაზე გაემგზავრებითო.

თამრიკო დუნდუა,
თბილისის 61-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

თამრიკო კოსტავა,
თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

ბარეულ ცხოველებს ტერიტორიულობის ერთობ გამახვილებული გრძნობა აქვთ. ბუნებაში ისინი ისაკუთრებენ ტყის, მდელოს და სხვა ლანდშაფტების გარკვეულ მონაკვეთს და ამ ადგილებს გულმოდგინედ იცავენ. თუ ვინმე გათავხედდება და კანონიერი მეპატრონის ადგილსამყოფელში შეიჭრება, კონფლიქტი გარდაუვალი ხდება.

შორს რომ არ წავიდეთ, მოვიყვანოთ ძაღლის მაგალითი. თავისი ველური წინაპრიდან გამოყოლილი ინსტინქტის ძალით ძაღლი თვალში

ცხოველთა საზღვრები

საცემ საგნებს: ბუჩქს, ბორცვს თუ კუნძს ფეხს აუწევს და თავის ნიშანს დაასვამს ხოლმე. ამ უცნაურ „სავიზიტო ბარათს“ ცხოველი თავისი ტერიტორიის „შემოღობვის“ მიზნით სტოვებს. ჩვენი შინაური ძაღლისათვის მსგავსი მანიპულაცია მხოლოდ ფორმალობაა—ის ხომ ადამიანთან ცხოვრობს. მისი გარეული წინაპრებისათვის კი, ვთქვათ, მგლისა და ტურისათვის, ტერიტორიის მონიშნება, დაკავება საარსებო მნიშვნელობის პრობლემაა. სხვანაირად წარმოუდგენელიც არის: უცხოს შემოჭრა სანადირო ზონაში საარსებო სივრცის ხელყოფას ნიშნავს. ზუსტად ამ მიზეზის გამო ფხიზლად დარაჯობენ თავიანთ ტერიტორიას ნადირ-ფრინველთა ურიცხვი წარმომადგენლები. საზღვრების მონიშვნის წესი ცხოველებს განსხვავებული და ინდივიდუალური აქვთ.

ცხოველთა საცხოვრებელი ტერიტორია მარტო „სანადირო სავარგული“ როდია. თვით ყველაზე უსიერ ტყეშიც კი მათ „ზეპირად“ იციან ყველაზე მოხერხებული სანადირო ადგილები, უსაფრთხო წყაროები, მზის სხივებით უხვად განათებული მინდვრები. იციან, წლის რა დროს შრება ღელეები, სად შეიძლება გაინავარდო და ისე ლანდივით გაძვრე, რომ ხმელი ბალახიც კი არ გაატოკო, ფიჩხიც არ გაალაწუნო.

„თავიანთ ტყეში“ ნადირ-ფრინველები კარგად ეგუებიან მეზობლებს, იციან, რომ ამა და ამ ბუჩქებში, ალამღამობით მაჩვები ფაჩუნობენ, ნაკის პირას ტოტებგამხმარ მუხაზე ჩამოჯდომა უყვარს ზარნაშოს, ეჩვევიან ქარიან ამინდში გადაბერებული წიფლების ჭრიალს, ტყისპირებში მობალახე საქონელს და თვით მწყემსის სილუეტსაც კი.

ცხოველებს გაუვალ, ულრან ტყეშიც აქვთ თავიანთი შუკები, ქუჩები და პროსპექტები, სამეთვალყურეო პუნქტები, მიწისქვეშა გადასასვლელები, სოროები, რუები და ღელეები... ამიტომ მონადირის ან მისი ძაღლის მიერ დევნილი ნადირი უაზროდ როდი გარბის.

უცნობ ადგილებში კი ნადირი იბნევა, ამიტომ ყოველთვის ცდილობს დაუბრუნდეს ზედმიწევნით შესწავლილ, მშობლიურ ტყეს. „საკუთარი“ ტყის ტერიტორიაზე ცხოველებს ამოჩემებული, საყვარელი ადგილები აქვთ. ყვავები, კაჭკაჭები, ქორ-მიმინოები, ბუები, არწივები და სხვები ხშირად ერთ რომელიმე ხეზე ან მთის წვერზე ისვენებენ და აქედან თვალს ადევნებენ თავიანთ სამფლობელოს. აფრიკის სავანაში ჯიქები ყოველთვის ერთსა და იმავე აკაციაზე თვლემენ, ეს ხეები სხვებისაგან განსხვავდება დაქანებული შტამბებით და ორკაპა ღეროებით. ასეთ ხეზე მტაცებელი ადვილად აათრევს მსხვერპლს და დაუპატიჟებელი სტუმრების — ლომის, აფთარის ან სხვა ნადირის გარეშე შეექცევა მას, შემდეგ კი მცხუნვარე აფრიკულ მზეს არიდებული ნებივრად თვლემს. იგივე აკაცია შესანიშნავი სამეთვალყურეო პუნქტია გაშლილ სავანაში.

ახლა ვესტუმროთ ჩვენებურ ტყესაც. ჭიანჭველების დანგრეული ბუდეები, გადაგორებული კუნძები ნიშნავს, რომ ტერიტორია დათვების მიერ არის დაკავებული, მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. ამ ტერიტორიის პატრონი დიდ, გამორჩეულ ხეებზეც სტოვებს თავისებურ „სავიზიტო ბარათს“ — ძლიერი ბრჭყალებით ღრმა ნაჭდევებს აკეთებს მერქანზე. ამასთან, ტყის ეს გიგანტი ყოველთვის ცდილობს, რაც შეიძლება მაღლა მოფხაჭნოს ხე—„აქაოდა მნახეთ, რა დიდი და ღონიერი ვარო“.

ავსტრალიურ კურდღელს საზღვრების დასანიშნად ნიკაპთან სუნოვანი ჯირკვალი აქვს. დაისრესს მას თათებით, რამდენჯერმე შემოურბენს თავის სამფლობელოს და გზადაგზა კურდღლისათვის ცნობილ სუნოვან კვალს ტოვებს.

ფრთოსნებში ტერიტორიის საზღვრებს, როგორც წესი, მამრი იცავს (ზოგჯერ ამაში მდედრიც მონაწილეობს).

სხვადასხვა ცხოველი სხვადასხვა ფართობის ტერიტორიას იკავებს. ბულბულს წყლისპირა ბარდების, ანდა ტყისპირა ბუჩქნარების ერთი პატარა კუთხეც თამამად ჰყოფნის, დათვს კი ტყის ხილით მდიდარი ათი-თხუთმეტი კვადრატული კილომეტრი ფართობი თუ გამოკვებავს. დათვზე გაცილებით მეტი საარსებო სივრცე სჭირდება მგლების ოჯახს. კოლონიებად მცხოვრებ ზღვის ფრთოსანთა სანადირო „საკარგულები“ უკიდეგანოა, მაგრამ ბუდეების მახლობლად მათ მაინც აქვთ განსაზღვრული თავიანთი ტერიტორია.

საზღვრების აღმნიშვნელი სასიგნალო სისტემა (სუნოვანი, ბგერითი თუ სხვა) ძირითადად განკუთვნილია თავისივე სახეობის სხვა ცხოველებისათვის. ასე მაგალითად, ტყის ერთ მონაკვეთზე შეიძლება ცხოვრობდეს მაჩვების, მელიების და გარეული ღორების ოჯახები და მათ შორის არავითარი შეტაკებები — „სასაზღვრო პრეტენზიები და კონფლიქტები“ არ წარმოიშვება, რატომ? იმიტომ, რომ თითოეულ ცხოველს თავისი „საწყობი, საკუჭნაო და სამზარეულო“ აქვს, არც ერთი არ ცხოვრობს მეორის ხარჯზე. მაგრამ საკმარისია ტყის ამავე მონაკვეთში სხვა მელამ შეიხედოს, რომ ტერიტორიის კანონიერი მფლობელი მაშინვე „საომრად“ აიფხორება. აქ საქმე მხოლოდ „მუქარით“ როდი მთავრდება. იგი შეიძლება ჩხუბშიც გადაიზარდოს, როგორც ეს ადამიანებში ხდება. საკუთარი საცხოვრებლის დაცვისას დიდ როლს თამაშობს ასევე „მორალური ფაქტორიც“, ამიტომ საზღვრების დაცვის კანონს ცხოველები სათუთად უფრთხილდებიან, მაგრამ მუქთახორასა და ქურდბაცაცას რა გამოლევს. ამიტომ ცხოველები, დაწყებული ჭიანჭველადან ვიდრე სპილომდე, ფხიზლად დარაჯობენ საცხოვრებლებს. შინაური ძაღლიც გარეული წინაპრის ჩვეულებისამებრ სახლს თავის პატრონის კარნახით როდი იცავს! ობიექტურად თუ შევაფასებთ ძაღლის ასეთ მოქმედებას, იგი სინამდვილეში საკუთარ და არა პატრონის ტერიტორიას დარაჯობს. ადამიანი კი, როგორც სხვა სახეობის წარმომადგენელი, არ არის ამ ტერიტორიაზე მისი კონკურენტი.

ერთი სიტყვით, ტერიტორიულობის კანონი მხოლოდ ტყეზე და მის ბინადრებზე როდი ვრცელდება. ველზე, უდაბნოში, ჭაობებსა და მთამაღალში, თვით წყალშიც კი ცხოველები მკაცრად იცავენ ხელშეუხებლობის წესს. ჯერ მეთევზეთა დაკვირვებით, შემდეგ კი მეცნიერთა ექსპერიმენტებით დამტკიცდა — ლოქოს, ქარიყლაპიასა და სხვა მტაცებელ თევზებს თავიანთი სანადირო ადგილები აქვთ.

ბუნებრივ პირობებში ცხოველები ინგლისური ანდაზის: „ჩემი სახლი — ჩემი ციხე-სიმაგრეა“ — პრინციპს მისდევენ, მაგრამ ისეც ხდება, რომ ესა თუ ის ცხოველი ტყვეობაში, გალიაში ხვდება. საინტერესოა, რამდენად იცავენ ცხოველები ტერიტორიულობას ხელოვნურ პირობებში? წარმოიდგინეთ, დროთა განმავლობაში ნადირ-ფრინველთათვის გალიებიც კი — ტყვეობის ეს უსიამოვნო ადგილები, ასევე კუთვნილ ტერიტორიად იქცევა ხოლმე. ნათქვამის დასადასტურებლად ესეც კმარა: გალიაში რომ უცხო ცხოველი შევუშვათ, მისი ბინადარი გააფთრებით ეცემა. მიუხედავად ამისა, ერთ გალიაში ორი სხვადასხვა ძალისა და სახეობის ცხოველის თანაცხოვრება მაინც შესაძლებელია. მაგრამ თუ ძლიერ ცხოველს უფრო სუსტს ჩავუსვამთ, შესაძლებელია დაირღვეს „სტუმარ-მასპინძლობის“ წესი და პირველმა იმსხვერპლოს მეორე. ამიტომ უმჯობესია გალიაში მოვათავსოთ ჯერ უფრო სუსტი ცხოველი, როცა იგი შეეჩვევა საცხოვრებელს, შეიძლება მას „შევუგზავნოთ“ მეორე, უფრო ძლიერი. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, შექმნილი მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდება, შეიძლება კიდეც დაგლიჯოს მასპინძელი, მაგრამ რამდენადაც იგი სხვის ტერიტორიაზე გრძნობს თავს, შეეცდება მაქსიმალურად შეიკავოს თავი. ცხოველთა ამ ჩვევის ცოდნა აუცილებელია ნადირ-ფრინველთა მოყვარულებისათვის.

მოგეხსენებათ, ყველა კანონს აქვს გამონაკლისი. ასეთი გამონაკლისის — ლომისა და ფინია ძაღლის უჩვეულო მეგობრობის მოწმენი იყვნენ თავის დროზე თბილისის ზოოლოგიური პარკის დამთვალიერებლები.

როგორც დავინახეთ, ცხოველებსაც აქვთ ადამიანის თვალით შეუმჩნეველი, მაგრამ მტკიცედ დადგენილი საზღვრები.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მეგობრები — კუბელი პიონერები

ყოველ პიონერულ ორგანიზაციას თავისი სიმბოლოები, ატრიბუტები, თავისი ისტორია და ტრადიცია აქვს, ცხადია, კუბის პიონერებსაც აქვთ ისინი. მოდით, გავეცნოთ მათ.

საზეიმო დაპირება

პიონერულ ორგანიზაციაში შესვლისას ყველა კუბელი მოზარდი დებს საზეიმო დაპირებას: „მე, კუბის სოციალისტური რესპუბლიკის პიონერი, ჩემი ამხანაგებისა და სამშობლოს წინაშე პირობას ვდებ, რომ ვიქნები ჩემი სამშობლოს და ჩემი ორგანიზაციის ერთგული, შევასრულებ ჩემს ვალს — ვისწავლი, ვიშრომებ და ვიბრძოლებ რევოლუციის გმირების მაგალითით შთაგონებული“.

დროშა

კუბელი პიონერების დროშა რევოლუციის საქმისათვის ერთგულების სიმბოლოა. დროშის შუაგულში გამოსახულია პიონერული ემბლემა. ზემო ნაწილში ამოქარგულია პიონერული ორგანიზაციის დასახელება, ქვემოთ კი სკოლის სახელწოდება და რაზმის რიგითი ნომერია გამოყვანილი. ზეიმის დღეებში პიონერულ დროშასთან საპატიო ყარაული დგას — ორი ასისტენტი: გოგონა და ბიჭუნა.

ემბლემა

კუბელი პიონერების ემბლემაზე გამოსახულია ანთებული ჩირაღდანი ცეცხლის სამი ალით — ეს სიმბოლურად აღნიშნავს კუბის რევოლუციონერების სამი თაობის — კომუნისტური პარტიის, ახალგაზრდა კომუნისტების კავშირისა და პიონერების მტკიცე საბრძოლო კავშირს. ჩირაღდნის საყრდენია ეროვნული დროშის

წითელი სამკუთხედი. სამკუთხედის გვერდით მინიშნებულია კუბელი პიონერების ცხოვრებისა და შრომის სამი ძირითადი პრინციპი: წარჩინებული სწავლა, ნებაყოფლობითი შრომა და სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლა.

ამ სამკუთხედზე გამოსახული ვარსკვლავი ნიშნავს, რომ კუბის რესპუბლიკა სუვერენული და თავისუფალი სახელმწიფოა, ხოლო ნორჩი პიონერები მოწოდებულნი არიან განამტკიცონ ეს სახელმწიფო. სამკუთხედს

ქვემოთ ჰკვეთს ცისფერი ლენტი, რომელზეც გამოყვანილია ორგანიზაციის სახელი — ხოსე მარტი.

პიონერები ამ ემბლემას პერანგის მარცხენა სახელოზე ატარებენ.

დევიზი

დევიზში გამოხატულია პიონერული ორგანიზაციის მთავარი მიზანი— ორგანიზაციის ყველა წევრს ჩაუნერგოს სიმტკიცე, მამაცობა, სამშობლოსა და რევოლუციის სიყვარული, კომუნისტური პარტიის საქმის ერთგულება, რათა თითოეული მათგანი გახდეს პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, გამოიმუშაოს ხასიათის ის თვისებები, რომლებიც ჰქონდა რევოლუციის მგზნებარე და ლეგენდარულ ჯარისკაცს, ფიდელ კასტროს თანამებრძოლს ერნესტო ჩე გევარას.

მოწოდებაზე „პიონერო, კომუნიზმისათვის!“ კუბელი პიონერების პასუხია: „ვიქნებით, როგორც ჩე!“

ერნესტო ჩე გევარამ ხანმოკლე სიცოცხლე განვლო, სულ 39 წლისა იყო, როცა მოკლეს, მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი იბრძოდა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის.

მის ცხოვრებაზე ხატოვნად თქვა ფიდელ კასტრომ:

„ჩე დაიღუპა ერთი იდეისთვის, ეს იდეა იყო ექსპლოატირებულთა და ჩაგრულთა დაცვა ამ კონტინენტზე. ჩე დაიღუპა ამ მიწის ღატაკთა და ბედკრულთა დასაცავად ბრძოლაში“.

წარმოშობით — არგენტინელი, პროფესიით — ექიმი, სულით — პოეტი, მოწოდებით — რევოლუციონერი — ასე შეიძლება მოკლედ ჩე გევარას დახასიათება. 15 წლისა იყო ჩე, როდესაც ფიდელ კასტროს შეხვდა და ამ დღიდან მოყოლებული, იყო მისი უერთგულესი თანამებრძოლი, კუბის რევოლუციის თავდადებული ჯარისკაცი. ყველაზე რთულ, პასუხსაგებ საქმეს ფიდელი მას ანდობდა.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩე გევარა იყო ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, შემდეგ მრეწველობის მინისტრი. 1965 წელს მან დატოვა კუბა. გამოსათხოვარ წერილში იგი სწერდა ფიდელს:

„ამჟამად ჩემი მოკრძალებული დახმარება სჭირდებათ დედამიწის სხვა ქვეყნებში. მე შემიძლია გავაკეთო ის, რისი უფლებაც შენ არა გაქვს, რადგან შენ პასუხისმგებელი ხარ კუბის წინაშე... მე კი ვასრულებ ჩემს წმიდათაწმიდა ვალს — ვებრძოლო იმპერიალიზმს ყველგან, სადაც კი ის ბატონობს...“

და ჩე გევარამ დაიწყო პარტიზანული ბრძოლა ბოლივიაში, მაგრამ ძალები უთანაბრო იყო. თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ მისი თანამებრძოლები. მძიმედ დაჭრილი ჩე ტყვედ ჩავარდა...

1968 წლის ივლისში მსოფლიოში გავრცელდა ცნობა: კუბის მთავრობამ ბოლივიიდან მიიღო ერნესტო ჩე გევარას დღიურების ფოტოასლები. მალე კუბაში ჩამოიტანეს ჩე გევარას ორივე ხელის მტევანი და ნიღაბი.

კუბელმა ხალხმა გადაწყვიტა ძვირფას რელიქვიად შეენახა ჩეს ხელები, მაგრამ დროებით. „ჩე ჩვენს ქვეყანას არ ეკუთვნის, — თქვა ფიდელ კასტრომ. — ჩე ამერიკის კუთვნილებაა. და ერთ მშვენიერ დღეს ეს ხელები საბოლოო ბინას დაიდებენ იქ, სადაც ამერიკელი ხალხი ისურვებს“.

კუბის თითოეული პიონერი, მანამდე, ვიდრე ორგანიზაციის დევიზს პირველად უპასუხებდეს — „ვიქნებით, როგორც ჩე!“ — გულმოდგინედ ეცნობა ამ უშიშარი რევოლუციონერის ცხოვრებასა და გმირობას.

პიონერები ხოსე მარტი

პიონერები — მონკადისტები

კუბის პიონერული ორგანიზაცია ორი ასაკობრივი ჯგუფისაგან შედგება: პიონერები-მონკადისტები (1-დან მე-4 კლასის მოსწავლეთა ჩათვლით), რომლებიც ლურჯ ყელსახვევებს ატარებენ, და პიონერები ხოსე მარტი (მე-5-დან მე-9 კლასის ჩათვლით), რომლებიც წითელ ყელსახვევებს ატარებენ. პირველი საფეხურის პიონერები — მონკადისტები ერთიანდებიან ვარსკვლავებად, რომლებშიც 5-10 კაცი შედის. ყოველ ვარსკვლავს სათავეში უდგას პიონერი ხოსე მარტი.

პირველი საფეხურის პიონერებს მონკადისტები ეწოდებათ მონკადის ყაზარმების გმირული იერიშის პატივსაცემად. პიონერის ფორმაში შედის აგრეთვე წითელი ბერეტი. პიონერები ერთმანეთსა და ხელმძღვანელს ისევე ესალმებიან, როგორც კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მებრძოლები.

პიონერთა მოვალეობები

ყველა პიონერი ხოსე მარტი და პიონერი-მონკადისტი ვალდებულია უყვარდეს თავისი სოციალისტური სამშობლო, გამოიჩინოს პატივისცემა ქვეყნის დროშის, გერბისა და ჰიმნისადმი, პატივი სცეს კუბის თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა გმირის ხსოვნას. პიონერის ვალია, პატივს სცემდეს მასწავლებელს, ხელმძღვანელს, ასრულებდეს სასწავლო დავალებებს, იყოს დისციპლინიანი, არ აცდენდეს მეცადინეობებს, ემზადებოდეს, რომ გახდეს საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანი, ბავშვობის წლებშივე მოუტანოს მას სარგებლობა.



რგოლის მეთაური



რაზმის მეთაური



რაზმეულის მეთაური



* მდინარე არაგვი სოფელ ჟინვალთან. ჩანს ზურგიანი კოშკის და ეკლესიის ნანგრევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯინვალი ოთხკედელი „ჭლვის“ ფესვებზე

თბილისიდან სამოციოდე კილომეტრზე, სოფელ ჟინვალის მიდამოებში, იქ, სადაც ერთმანეთს უერთდება მთიულეთისა და ფშავის არაგვი, შენდება ჰიდროტექნიკური კომპლექსი, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ელექტროენერგია, მორწყას ორმოცი ათასი ჰექტარი ფართობი და სასმელი წყლით უზრუნველყოს თბილისისა და რუსთავის მოსახლეობა.

გაივლის რამდენიმე წელი და სოფელ ჟინვალის მიდამოები წყლით დაიფარება. ამიტომ მშენებლების გვერდით ქართველ არქეოლოგებსაც გაუჩაღებიათ მუშაობა, რათა დროულად გამოავლინონ და შეისწავლონ წარსულის ძეგლები.

წერილობითი საისტორიო წყაროების მიხედვით ჟინვალი შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო. მისი დაწინაურება განაპირობა ხელსაყრელმა მდებარეობამ არაგვის ხეობაში, გზების გასაყართან.

კომპლექსურმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, რომელსაც აწარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რ. რამიშვილი), დაგვანახვა, რომ ჟინვალი და მისი შემოგარენი დასახლებული ყოფილა უძველესი დროიდან.

5000-5.500 წლის წინანდელი ნამოსახლარია მიკვლეული ახალი ჟინვალის (სოფ. ქვემო არანისის მიდამოები) ჩრდილოეთ ნაწილში, იქ, სადაც ამჟამად საბჭოთა მეურნეობის ფერმაა. გათხრებისას გამოვლენილ ორმოებში აღმოჩნდა თიხის ნაწარმი ორნამენტირებული ზედაპირით, ხელსაფქვავები, თიხის საბეჭდავი, კაჟისა და ობსიდიანის შუბისპირები, ქვის და ძვლის კვირისტავები, ხორბლეულის ნაშთი და სხვ. ეს სამოსახლო, რომლის შესწავლა ჯერ არ დამთავრებულა, ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

ნამოსახლარზე მოპოვებული ხელით ნაძერწი თიხის ნაწარმი გამოირჩევა დამზადების მაღალი ხარისხით.

არქეოლოგების ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ მშენებლების მიერ სოფ. არაგვისპირში, საბჭოთა მეურნეობის ვენახებში გაჭრილ თხრილებში კრამიტები აღმოჩნდა. სადაზვერვო თხრისას ექსპედიციამ მიაკვლია სამაროვანს. გაითხარა ასამდე ორმო-სამარხი. მათგან სამი განსაკუთრებით მდიდრული ინვენტარით გამოირჩევა. აქ აღმოჩენილია მოოქროვილი ვერცხლის თასი (პინაკი) ზედ გამოსახული ფრთაგაშლილი არწივით, რომელსაც ნისკარტში ძალაუფლების სიმბოლო — გვირგვინი უჭირავს; ვერცხლის თასი, რომლის ფსკერზე გამოსახულია საკურთხევლის წინ მდგომი ტორაწეული ცხენი; ვერცხლის ორი სურა ნადირობის სცენების რელიეფური გამოსახულებით; ოქროს ყელსაბამი წნული ძეწკვითა და მედალიონით; ოქროს აბზინდა, სამაჯური, საყურეები, ბეჭდები გემიანი თვლებით, მონეტები; თიხისა და მინის ნაწარმი და სხვა. ეს სამარხები თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნის ბოლოთი და IV საუკუნის დასაწყისით და არმაზის ერისთავთა სამარხების რიგს მიეკუთვნება.

ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის პერიოდში მისი ძირითადი ძალები დაკავებული არიან მომავალი წყალსაცავის ზონაში მდებარე ჟინვალის ნაქალაქარის, მისი თავდაცვითი სისტემის, სასოფლო

* სოფელ არაგვისპირის სამაროვანი. ვერცხლის სურები ნადირობის სცენების რელიეფური გამოსახულებით; III-IV სს.

უბნების და სამაროვნის შესწავლით.

ნაქალაქარი მდებარეობს ფერდობზე და დასავლეთიდან მდინარით არის დაცული. აღმოსავლეთით „თამარის ციხის“ კომპლექსით მთავრდება, სამხრეთიდან კი ზღუდედ აქვს გალავანი შუაში დატანებული კარიბჭით. მისი ცენტრალური ნაწილი ტერასული სამოსახლოა. სახლებს ბანური გადახურვა ჰქონია. ყოველი სახლის ბანი მის ზევით მდებარე ტერასის სახლისათვის ეზოს წარმოადგენდა. დასახლება ძალზე მჭიდრო ყოფილა, გამოვლენილია თონეები, კერები, ქვევრები, სამეურნეო ორმოები (ხარო) მარცვლეულისათვის, ტახტები. აღმოჩენილია სასუფრე, სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების



ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანი. შუა საუკუნეების თიხის ჭინჭილა.

თიხის ნაწარმი (მოჭიქული და მოუჭიქავი), ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები და მეთუნეობასთან დაკავშირებული საგნები.

ნაქალაქარზე გამოვლენილი მასალები ძირითადად XI-XIV საუკუნეებით თარიღდება. მათი მეოხებით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმდროინდელი ქალაქის ყოფა-ცხოვრება და საქმიანობა.

გათხრილია ქალაქ ჟინვალის და არაგვის ხეობის თავდაცვით სისტემაში შემავალი ზურგიანი კოშკი (უდიდესი მთელს ხეობაში) და მაღლივ კლდოვან მასივზე აღმართული წმ. გიორგის ციხე.

საყურადღებო შედეგებია მიღებული ძველი ჟინვალის სასოფლო-სამეურნეო უბნების შესწავლისას ადგილ დევებიანში. ორ ნასოფლარზე გაითხარა რუსთაველის ეპოქის გლეხაცის საცხოვრებელი კომპლექსი. გამოვლენილი მასალები მეტყველებენ, რომ არაგვის ხეობის ამ რეგიონში მესაქონლეობასთან ერთად მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული მევენახეობა.

შუა საუკუნეების ჟინვალელთა დაკრძალვის წეს-ჩვეულებაზე, სამშენებლო საქმეზე, ნივთიერ კულტურაზე და ეკონომიკურ დონეზე მნიშვნელოვან მასალებს იძლევა „ნაქალაქარის“ სამაროვანი. გათხრილია ხუთასზე მეტი სხვადასხვა ტიპის საოჯახო სამარხი, სადაც აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, მინის, ვერცხლის, ბრინჯაოს და ოქროს სამკაულები და სხვ. ყურადღებას იქცევს დიდი საგვარეულო აკლდამები.

ნაყოფიერ სადაზვერვო მუშაობას აწარმოებს ექსპედიცია ჟინვალის შემოგარენში და განსაკუთრებით ახალი გზების მშენებლობის ზონაში. აღმოჩნდა და შესწავლილია ნამოსახლარები, კოშკები, ეკლესიები და ხატსალოცავები. შეგროვილია ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალა.

ჟინვალის ექსპედიციაში არქეოლოგებთან ნაყოფიერად თანამშრომლობენ ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ნუმიზმატები, ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები, მხატვრები, ენათმეცნიერები, ანთროპოლოგები, ამპელოგრაფები* და სხვა დარგის სპეციალისტები.

აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა, გამხნევებაა, აწყმოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევაა სიგნელისაგან.

ტიტუტის სტუდენტები, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეთა ექსპედიციები, ჟინვალის საშუალო სკოლის ნორჩი მხარეთმცოდნეები.



ჟინვალი. ნაქალაქარი. ტერასულად განლაგებული საცხოვრებელი სათავსები. შუა საუკუნეები.

ექსპედიციის საველე მუშაობაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული აზიისა და აფრიკის ქვეყნების ინსტ-

მეცხრე წელია მუშაობენ არქეოლოგები არაგვის ხეობაში, რათა ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის აშენებამდე მაქსიმალურად იქნას შესწავლილი ამ რეგიონში ჩვენი წარსულის ნაშთები.

გესარიონ ჯორბენაძე,
ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე.

* ამპელოგრაფია — ვაზის ჯიშების შემსწავლელი მეცნიერება.

ფოტო ვ. ასტახოვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო კონტინენტები როდი მოძრაობენ

50 წლის მანძილზე არ დაუდგამს ფეხი ადამიანს ანტარქტიდის მახლობლად მდებარე კუნძულ ბუვეზე. და რაოდენ განცვიფრდნენ იქ მეტეოროლოგიური სადგურის მოსაწყობად ჩასული ნორვეგიელი სწავლულები, როცა ბუვე თავის ადგილას არ აღმოჩნდა. თურმე ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეს კუნძული ორი კილომეტრით გადაადგილებულა დასავლეთის მიმართულებით.

ხმოვანი კომპასი

აშშ-ში შექმნეს ხმოვანი კომპასი. თუ მოგზაური სწორ მიმართულებას ასცდა, კომპასში დინამიკი მაშინვე ატკაცუნდება. ტკაცუნი არ წყდება, სანამ მისი პატრონი საჭირო გზას არ დაადგება.

ფარიანა გოლიათ ხესაც კი ერევა

ფარიანა პაწაწინა მწერია, მაგრამ უზომო ზიანს აყენებს ხეხილს და სხვა ხეებს. მაგალითად, ბერმუდის კუნძულები განთქმული იყო ღვიის ტყეებით (ოღონდ იქ ღვია ბუჩქი კი არა, ვეება ხეა, მას წითელ კედარს ან „ფანქრის ხეს“ ეძახიან). ღვიის გამძლე მერქნისაგან კუნძულების მკვიდრნი ჩინებულ ნავებს აკეთებდნენ. მაგრამ 40-იან წლებში ტყეებს თავს დაატყდა ეპიდემია: ერთი შეხედვით უძლეველ გიგანტურ ხეებს ფარიანას ლეგიონებმა შეუტიეს და, ადამიანთა მიერ ჩატარებული სანიტარული ოპერაციების მიუხედავად, გამარჯვება მოიპოვეს. ძლიერმა ქარებმა კი სულ მოუთავეს ხელი დაავადებულ ხეებს — ყველანი მიწაზე დასცეს. ამჟამად ბერმუდის კუნძულებზე თითქმის ვერ შეხვდებით ცოცხალ ღვიას.

მგლები და ცხვრები

„ცხვრები უფრო დიდხანს იცოცხლებენ, თუ მათ ბლომად დავაყრით წიწაკას“, — ამტკიცებენ შტატ ვაიომინგის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომლები. ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ პრერიებში მგლებისაგან ცხვრების დასაცავად სწავლულებმა შექმნეს სინთეტიკური პრეპარატი, რომელსაც წიწაკის მძაფრი სუნი უდის. ამ სითხეს პერიოდულად ასხურებენ ცხვრებს. როცა მგელი „დამუშავებულ“ ცხვარს თავს დაეხეხის. ისე მწარედ დაიწვავს პირს, რომ აყმუვლებული გაშორდება იქაურობას.

ხეზე დაკიდებული საფუტკრე

ტანზანიაში ბლომად ფუტკარია, ხოლო ხადაც ფუტკარია, საფუტკრეც იქვე იქნება. ოღონდ ტანზანიური საფუტკრე მსოფლიოს არც ერთ საფუტკრეს არა ჰგავს, უცხოელი ტურისტი ვერც იფიქრებს, რომ მის წინ „ფუტკრების ფერმაა“.



ხელით ქსოვა საქართველოში უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. ქართველი ქალი ხსვა საოჯახო საქმესთან ერთად ეუფლებოდა ამ ლამაზ ხელოვნებას, ამასთან მოსაწონიც არის, როცა საკუთარი ხელით მოქსოვილ მოხდენილ ქუდს, ხელთათმანს, კაშნეს, კაბას, სვიტრს ან ჟაკეტს ატარებთ...

ქსოვა ადამიანს ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს და დასვენების ერთგვარი საშუალებაც არის.

მაშ, ვისწავლოთ ქსოვა!

ქსოვისათვის საჭირო მასალა:

ქსოვისათვის საჭიროა ძაფი, ჩხირები, ყაისნაღი და ნემსი მოქსოვილი ნაწილების შესაერთებლად.

1. ძაფი შეიძლება იყოს ბამბის, შალის, აბრეშუმის, ვისკოზის, ნეილონის და სხვა. ხელით ქსოვის დროს უმთავრესად იყენებენ შალის ან ბამბის ძაფს. თუ ძაფი წმინდაა, შეგიძლიათ ამოკეცოთ რამდენიმე წვერად.

2. ჩხირები არის ალუმინის, ძვლის, ხის, ნეილონის, ფოლადის, პლასტმასის და სხვა. ყველაზე უფრო მოხერხებულია ხის ან ფოლადის ჩხირები, ხის ჩხირები თავადაც შეგიძლიათ გამოთალოთ ბამბუკის, შვინდის ტოტის ან სხვა მახალისაგან. ჩხირი უნდა იყოს სწორი, გრძელი, დაახლოებით 30-40 სმ სიგრძისა, ცალი ბოლო წაწვეტებული უნდა ჰქონდეს, ხოლო მეორე — გამსხვილებული, რომ თვალი არ გადასძვრეს. არსებობს ჩხირები, რომელთა ბოლოები შეერთებულია ტროსით. ჩხირის გათლის დროს ძალიან არ უნდა წავაწვეტიანოთ ბოლო, რადგან შეიძლება ამან მქსოველსაც დაუზიანოს თითი და ძაფი აწეწოს.

იმის მიხედვით, თუ რა ზომისაა ჩხირის დიამეტრი, არსებობს სხვადასხვა ნომრის ჩხირები: მაგალითად, თუ ჩხირის დიამეტრი 1 მმ-ია, ჩხირის ნომერია (№ 1); თუ 2 მმ. — № 2 და ა. შ. არის № 1,5, № 2,5, № 3 და ა. შ. ჩხირები.

წმინდა ჩხირებით იქსოვება ხელთათმანები, წინდები, ბავშვის კაბა და სხვა. მსხვილი ჩხირებით შეიძლება მოქსოვოთ ქალის პალტო, ჟაკეტი, მამაკაცის ჯემპრი, სვიტრი.

ნაქსოვი ორგვარია: მჭიდრო და თხელი — აჟურული. აჟურული ნაქსოვი უხდება შალებს, ქალის საზაფხულო ბლუზებს და სხვა.

3. ქსოვისათვის საჭირო ნემსი განსხვავდება ჩვეულებრივი ნემსისაგან იმით, რომ უფრო გრძელი ყუნწი აქვს საქსოვი ძაფის გასაყრელად.

სასურველია, იქონიოთ მუყაოს ყუთი — საქსოვი ძაფის, ნემსის, ჩხირების, ყაისნაღის, სათითეს, პატარა მაკრატლის, სანტიმეტრისა და ნაქსოვის სახეთა ნიმუშების შესანახად.

გაკვეთილი 1.

როგორ ვისწავლოთ ქსოვა

ქსოვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ხელის დაჭერას, ძაფის მდებარეობას და ჯდომას. ძალიან ნუ მოიხრებით წელში, თავი ოდნავ დაღუნეთ, ხელები ისე დაიჭირეთ, რომ იდაყვები ტანს ეხებოდეს, სამუშაო ძაფის გორგალი მარცხნივ დიდეთ.

თვლების აკრეფა

თვლების აკრეფის რამდენიმე წესი არსებობს. გავეცნოთ ერთ-ერთს: 10 თვალისთვის საჭიროა დაახლოებით 30 სმ. ძაფი, გორგლიდან გადმოვახვიოთ იმხელა სიგრძის ძაფი, რამდენიც თვლის აკრეფას და-



სურ. № 1 სურ. № 2 სურ. № 3 სურ. № 4

ადგილობრივი მეფუტკრეები მორის გადანაჭრებს ამოღრუტნიან და ხეებზე ჰკიდებენ, როგორც ჩვენში — ნაძვის ხეზე სათამაშოებს, და საფუტკრე მზად არის. ყვავილოვანი მცენარეები კი ტანზანიაში იმდენი ხარობს, გარეული ფუტკრები ნექტრის ნაკლებობას არ განიცდიან. თბილი ჰავის წყალობით თაფლის მოსავალს აქ მთელი წლის განმავლობაში იღებენ.

პინგვინების ბილიკები

როცა პირველადმომჩენები სუბარქტიკულ კუნძულებზე მოხვდნენ, მათ ადვილად დადგინეს, რომ იქ არასოდეს უცხოვრიათ ადამიანებს. ეს არც გასაკვირია — ხსენებული კუნძულები საცხოვრებლად სრულიად გამოუსადეგარია. მაგრამ მოგზაურები ბევრ კუნძულზე წააწყდნენ ზღვისკენ მიმავალ, საკმაოდ ფართო და სწორ ბილიკებს. ერთხანს ვერ მიხვდნენ, რომ ეს ბილიკები უცნობი რობინზონების ან რომელიმე გამქრალი ცივილიზაციის წარმომადგენლების სეირნობის შედეგად კი არ წარმოიშვა, არამედ პინგვინებისაგან იყო გატკეპნილი. მილიონობით, თუ მილიარდობით არა, პინგვინი ათასწლეულების მანძილზე ტკეპნიდა გზებს ბუდეებიდან ზღვამდე, ამის შედეგად წარმოიშვა ლარივით სწორი, ფართო და მოხერხებული ბილიკები.

გათავხედებული ბაყაყები

ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში რამდენიმე ამერიკულმა საკვლევ-სამეცნიერო ლაბორატორიამ აფრიკიდან კალიფორნიაში



დეზებიანი ბაყაყების მოჯრდილი პარტია ჩამოიყვანა. შემდეგ ბაყაყები ბაჭიებით შეცვალეს და „უმუშევრად" დარჩენილი ყველა ხმელეთა ცხოველები თავისუფლად გაუშვეს. ამ უკანასკნელებმაც ხტუნვა-ხტუნვით მახლობელ თხრილებსა და წყალსაცავებს მიაშურეს. მალე ისე სწრაფად გამრავლდნენ, საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოეფვნენ. ამასთან საოცარი მადა აღმოაჩნდათ — რაც კი გზაზე შეხვდებოდათ (ქვირითი, მწერები, თავკომბალები...), ყოველივეს ხარბად ნთქავდნენ, რითაც უზარმაზარ ზარალს აყენებდნენ შტატის თევზის მეურნეობას. ბაყაყებს ომი გამოუცხადეს, მაგრამ მრავალი წლის „საბრძოლო ოპერაციებმა" ნაყოფი ვერ გამოიღო. შხამქიმიკატების მასირებული გამოყენებაც კი უშედეგო აღმოჩნდა. დარჩა მხოლოდ ერთადერთი საშუალება — ისეთი მტაცებელი ცხოველი იპოვნონ, რომელიც გათავხედებულ დეზებიანებზე ხალისით ინადირებს, მაგრამ ასეთი ცხოველის პოვნა არც ისე ადვილია: ამ ბაყაყებს კანი შხამიანი ლორწოთი აქვთ დაფარული და თვით მშიერი ალიგატორიც კი მათ ზიზღით არიდებს პირს.

სჭირდება. მაგალითად, 20 თვლისთვის უნდა გადმოვახვიოთ 60 სმ. ძაფი, 40 თვლისთვის — 120 სმ. ძაფი და ა. შ. თვლები უნდა ავკრიფოთ ორ ჩხირზე. ძაფი მარცხენა ხელის ცერზე და საჩვენებელ თითზე ისე უნდა გადავიღოთ, გორგლიდან წამოსული ძაფი რომ ცერის მხარეს დარჩეს, მეორე ბოლო კი საჩვენებელ მხარეს მოექცეს, დანარჩენი სამი თითით ხელისგულთან დავიჭიროთ (სურ. № 1).

მარჯვენა ხელში ორი ჩხირი დავიჭიროთ, ზევიდან დავადოთ ცერსა და საჩვენებელ თითს შორის გადებულ ძაფს და დავწიოთ ქვევით და მარცხნივ (სურ. № 2).

გაკვეთილი II

ჩხირები შევუყაროთ ცერთან, გორგლიდან გამოსულ ძაფს შუა; მოვაბრუნოთ მარჯვნივ; საჩვენებელი თითისკენ მიმავალი ძაფი ჩხირებზე ზევიდან გადავდოთ და ისევ გამოვატაროთ უკან ცერთან შექმნილ ძაფებს შუა (სურ. № 3). გადავიძროთ ძაფი ცერიდან და ორივე ბოლოთი ქვევით დავჭიმოთ, ჩხირზე აიკრიფება ორი თვალი. დანარჩენ თვლებსაც ასე ავკრეფთ (სურ. № 4).

ერთი ჩხირი გამოვაძროთ, დავიჭიროთ მარჯვენა ხელში, თვლებაკრეფილი ჩხირი კი მარცხენა ხელში დავიტოვოთ.

თვლების გამოქსოვა

ჩხირებს დავიჭერთ ამ სახით: ცერს შიგნიდან დავადებთ, დანარჩენ თითებს კი გარედან. ძაფის გორგალი მოვათავსოთ მარცხენა მხარეს. გორგლიდან გამომავალი ძაფი გავატაროთ არათითსა და ნეკს შორის, წამოვიღოთ ხელისგულისაკენ, ამოვატაროთ შუათითსა და საჩვენებელ თითს შორის და გადავიდოთ საჩვენებელ თითზე (სურ. № 5).

გაკვეთილი III

თვლები იქსოვება წაღმით და უკუღმით. მარჯვენა ჩხირით პირველი თვალი ყოველთვის მოუქსოვლად გამოვიტანოთ — ამ თვლებს ე. ი. ნაპირის თვლებს ნაწიბური ეწოდება.

მეორე თვალს გამოვქსოვთ ასე: მარჯვენა ჩხირი შევიყვანოთ თვალში მარცხენა მხრიდან, ჩხირი მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით წამოვდოთ ძაფს და იმავე თვალში უკან გამოვატაროთ (სურ. № 6).

გამოქსოვილი თვალი გადავიტანოთ მარჯვენა ჩხირზე. ამგვარად მოხდება ზევიდან წაღმით გამოქსოვა. შეიძლება, წაღმით გამოიქსოვოს ქვემოდანაც. ამ დროს მარჯვენა ჩხირი უნდა შევიტანოთ გამოსაქსოვ თვალში, ისე, რომ მარცხენა ჩხირი ზევით დარჩეს, ჩხირის მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით კი იგი ძაფს უნდა წამოვდოთ და უკანვე გამოვიტანოთ. გამოქსოვილი თვალი გადავიტანოთ მარჯვენა ჩხირზე. ამ წესით უნდა ამოქსოვოთ ყველა დანარჩენი თვალი. (სურ. № 7).

გაკვეთილი IV

თვლების გამოქსოვა უკუღმით

თვლების გამოქსოვა უკუღმით ორგვარად ხდება:

1. მარჯვენა ჩხირი შევუყაროთ გამოსაქსოვ თვალს, ისე, რომ მარცხენა ჩხირი ქვეშ დარჩეს. ძაფი გადავიტანოთ გამოსაქსოვი თვალის მარცხნივ. მარჯვენა ჩხირის წვერით ეს ძაფი თვალში გამოვატაროთ და გამოქსოვილი თვალი მარჯვენა ჩხირზე გადავიტანოთ (სურ. № 8).

2. ან კიდევ: მარჯვენა ჩხირის წვერი შევუყაროთ გამოსაქსოვ თვალში, ისე, რომ ძაფი ზემოთ და გამოსაქსოვი თვალის მარჯვნივ მოექცეს. მარჯვენა ჩხირის წვერს მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით წამოვდებთ ძაფს და გავატარებთ გამოსაქსოვ თვალში. მოქსოვილ თვალს მეორე ჩხირზე გადავიტანთ. მივიღებთ უკუღმა თვლებით ნაქსოვს (სურ. № 9).

ლილი ზურაბაშვილი



სურ. № 5 სურ. № 6. სურ. № 7 სურ. № 8 სურ. № 9.

ფოტომოყვარულს თვითონ შეუძლია გააკეთოს უბრალო საკადრო ჩარჩო: აიღე სწორზედაპირიანი ფიცარი, ორი პატარა ფიცრის ძელაკი, ორი რეზინის საჭერი. დანარჩენს აქ მოთავსებული ნახაზიც გიკარნახებს.



მზისაგან დასაცავი, ლერწმის მასალისაგან დამზადებული ფარდები შეგიძლია საფარდე კარნიზზე მიამაგრო. როგორ? ამას აქ გამოსახული სურათით იოლად მიხვდები.

მას ოთხივე ფეხზე რეზინის შლანგის გადანაჭრები ჩამოაცვა. სკამი საგრძნობლად ამაღლდება, დროთა განმავლობაში მისი დადაბლებაც შეიძლება, ბოლოს კი, როცა გაიზრდები, სკამს შლანგის გადანაჭრებს მოხსნი.

მოსწავლე რომ სწორად მიუჯდეს მაგიდას, სკამი სათანადო სიმაღლისა უნდა იყოს. სკამის ასამაღლებლად ხშირად ბალიშს, წიგნებს ან სხვა რაიმეს იყენებენ. ამას ჯობს გამოყო შენთვის ერთი მუდმივი სკამი და

მიწაში სარის ან ხარდნის ჩასასობად არ არის აუცილებელი ორმოს ამოთხრა. სარს ან ხარდანს ბოლო წაუმახე და მთელი ძალით ჩასვი მიწაში. შემდეგ ამოიღე და ორმოში ცოტა წყალი ჩაასხი — მიწა დაალბე. მერე ისევ დაჰკარი. რაც არ უნდა მაგარი ნიადაგი იყოს, სარი თუ ხარდანი მიწაში მაგრად ჩაესობა.



ფანჯრის ღრეჩოების ამოსაგმანად აუცილებელი არ არის ძვირადღირებული ლეიკოპლასტის ხმარება. გაზეთის ქაღალდი ჯამში ჩაკუწე, ძალიან დაასველე და აზილე. ფაფასავით რომ გახდება, დანის პირით ამოიღე და ღრეჩოები იმით ამოავსე. ქაღალდის მასა გაშრება და ქარს აღარ გაატარებს.

სამეგობრო

ხერგიანი მ. — სწრაფვა დიადი მიზნისაკენ (ნარკვევი) . . 1
ბირერი ს. — „გნიოზდიშკო" (მოთხრობა) 4
ლენინი — ახალგაზრდობის მეგობარი (ნაწყვეტები ვ. ი. ლენინის გამოსვლებიდან) 6
მეტრეველი თ. — და არა აქვს მას დასასრული (წერილი) . 7
ხალხი უმღერის ლენინს (ხალხური ლექსები, ლენინზე) . 10
ალგერტი-კლოშჩანსკაია ბ. — მოგონებები ვ. ი. ლენინზე 10
გრიგოლაშვილი დ. უცნაური სტუმარი (მოთხრობა. დასასრული) 13
მეგრელიშვილი ა. — გაზაფხული (ლექსი) . .
ხარაზიშვილი ნ. — ნორჩ მეოჯახეთა ნობათები (წერილი) . 20
ახალი წიგნები 21
ეისი 22
კოცონი 24
ბუნების კარი. არნ. გეგეჭკორი — ცხოველთა საზღვრები (წერილი) 25
შენი უცხოელი თანატოლები 31
ჯორგენაძე ბ. — გათხრები მომავალი „ზღვის" ფსკერზე (წერილი) 28
ჯადოსნური სარკე 30
ქსოვა 30
გამოგადგები 32
ცხრაკლიტული 32

გარეკანის პირველ გვერდზე — „ენძელები", მხატვარი რევაზ ცუცქირიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, როგერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის 93-97-05, 93-31-81, პ/მგ. მდივნის 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების 93-97-02, 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии. Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 25/II-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/IV-80 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 543. ტირ. 149.800. უე 10892.

ფასი 20 კაპიკი

© „პიონერი", 1980 წ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



თარაზულად: 1. ძველი ქართული სახვნელი იარაღი; 4. სოფელი ქედის რაიონში; 6. კაპასი, ანუ?. 9. დაბა ხაშურის რაიონში; 10. ქალაქი იტალიაში; 12. ქალაქი რსფსრ-ში; 13. ნელი ქარი, ანუ? 14. კოპიტი, ანუ? 18. ლეგენდარული კრეისერი; 19. თმის საღებავი; 20. შინაური ცხოველი; 21. კონტინენტი; 25. რაიონული ცენტრი საქართველოში; 27. ბგერის წერითი ნიშანი; 28. სახელმწიფო აფრიკაში; 29. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი აუზი; 30. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 32. ეგვიპტური მითოლოგიური ქალღმერთი; 34. დროის მონაკვეთი; 35. მაღალი თანამდებობის პირთა მხლებლები.

შვეულად: 1. შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 2. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 3. სოფელი ლანჩხუთის რაიონში; 4. აფხაზეთის სახელწოდება აფხაზურ ენაზე; 5. უხრელი, ანუ? 7. ხე-მცენარე; 8. ერთგვარი ყავისფერი კანფეტი; 11. საბჭოთა ილუზიონისტი; 12. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 15. სახელმწიფო აზიაში; 16. ადამიანის მეტყველების ორგანო; 17. თევზის ძვალი, ანუ? 22. ქალაქი ბელორუსიაში; 23. მესამე თანრიგის ნულოვანი რიცხვი; 24. უდაბნო; 26. ქიმიური ელემენტი; 28. მოძრავი თოვლის მასა; 31. სახელმწიფო აფრიკაში; 33. ბერძნულ მითოლოგიაში სიბრძნის ქალღმერთი; 34. ერთგვარი ძველებური თოფი.

სლავა სუარიძე,
ასპინძის რაიონის ორგორის 8-წლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

64-დან 2

	А	Б	В	Г	Д	Е	Ж	З
1	■	▽	◊	●	◇	▼	○	□
2	♦	○	▮	■	▽	▯	♥	●
3	□	▼	◇	◉	□	▯	▮	♦
4	▽	●	▯	♥	▼	◊	■	▽
5	○	♦	■	○	••	●	◇	▯
6	▼	◇	▮	□	◎	▮	♥	▮
7	□	✸	◊	▯	♦	▼	◊	□
8	■	▽	○	♥	■	◇	▽	○

აბა თუ გამოიცნობ, რომელი ორი ერთნაირი სიმბოლოა ერთმანეთთან ყველაზე ახლოს განლაგებული?

შარადები კულტურის ძეგლებზე

პირველია პაწაწინა
ანატეხი ფიცრის,
წვეტიანი ეკალივით
იჩხვლიტება ისიც,
ასოც გვინდა, ანბანში რომ
მეორეა რიგით,
ამ ნაწილის უპირველეს
ბგერას შეცვლის იგი.
ის რაღაა, შიგ რომ აწყობ
რვეულებს და წიგნებს, —
ოღონდ სიტყვა შეკრებამდე
წინ ორ ბგერას იკლებს. —
ჩინებული ტაძარია,
შენც სწვევიხარ იქნებ.

2

ის ასო ქართულ ანბანში
მეთვრამეტეა რიგით,
მისი სახელი ნამდვილად
გეცოდინება, გიგი. —
ბოლო მარცვალი მოშალე,
არა გვჭირდება იგი.
მეორე იალაღზეა,
ქათქათებს როგორც
თოვლი,
ბალახის ძოვით გართულა,
მწყემსი დარაჯობს
კომბლით.
ორივეს თანმიმდევრობით
თუკი აკინძავ ახლა,
ქართული
ხუროთმოძღვრების
ბრწყინვალე ძეგლი
გახლავს.

შ. ამირანაშვილი

გამოცანები

1

მე სიცოცხლე ხანმოკლე მაქვს,
მძულს წვიმა და ცივი ქარი,
გაზაფხულის მაყარი ვარ,
ყაყაჩოების — მეგობარი.

2

ერთი გვაქვს, ყველას გვინთია
გულებში წმინდა სანთელად,
მხოლოდ რვა ბგერა გვჭირდება
მისი სახელის სათქმელად.

3

თვალით არვის ვუნახივარ,
არც სუნი მაქვს, აღარც ფერი,
რომ არ ვიყო, ქვეყანაზე
ვერ იცოცხლებს ვერაფერი.

3. ლეჟავა

პასუხი № 3-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

გამოცანები

თოვლი; ობობა; მოსწავლის ფარგალი; დელფინი; წყალი; ბუგული.

შარადები კულტურის ძეგლებზე

1. ოპიზა; 2. სვეტიცხოველი; 3. კაცხი.